

619  
1967



**ՀԱՅԿ**  
№ 12 ԲՅՅՅԵՅՅԿՈ 1967



შენ უნდა ააშენო?!

ფოტოგრაფი ა. არუთინოვისა.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

**ქართული**

№ 12 (373) დეკემბერი, 1967 წ.


გამოცემის წელი 45-ე.

ყოველთვიური სკოლაგარეგანი-პოლიტიკური და სალიბერალური-სამხარვეზო ჟურნალი



რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ქარხანა.

ფოტო შ. ჩხეტიანი




# ინჟინერი ქარხანაში მიიჩქარის


საშუალო ტანის ახალგაზრდა კაცი ტრატორიის გაყოლებით აკრულ ხის მესერთან შეჩერდა და რეასართულიანი სახლის ახლად აყვანილ კედლებს ახედა. იქიდან კოშკურა ამწეს ტრიალი, ელექტროშედლებების ტკაცუნი და მუშების შეძახილი მოისმოდა. ამწეს ბეტონის ვეება ფილა აეტაცა, ზედ იმ შენობის თავზე აეტანა და ნაფოტივით ატრიალებდა. დაუშვით — უყვიროდნენ მუშები და შეამწეს ხელით ანიშნებდნენ, მერე ფილას ხელი წაავლეს და თავისკენ დაუწყეს წევა, კედლებზე გადახურული სხვა ფილების გვერდით დადეს. ეს ყველაფერი კარგა მალა, მერვე თუ შეშვიდე სართულზე ხდებოდა, მაგრამ ქუჩაში მდგომმა ახალგაზრდამ მაინც დაინახა, როგორ გამოანათა ფილებს შორის ლურჯი ცის ვიწრო ზოლმა. მუშებმა ფილებს შორის დარჩენილ სივრცეებს ცემენტით დაუწყეს ამოვსება. „რას სჩადიან ეს დალოცვილები, ასე როგორ შეიძლება“—გაიფიქრა ახალგაზრდა კაცმა, მერე თავი დალუნა, მესერის ღრიკოში გაძვრა და საღარბაზოში სახელდახელოდ გამართულ კიბეს აყვა.

— გამარჯობათ! ვინ არის თქვენი უფროსი? მუშებმა თავი აიღეს და ცნობისმოყვარეობით შეხედეს მოულოდნელ სტუმარს.  
— რა ვიცი, — გაიღმა ერთმა მათგანმა და ბრეზენტის ხელთათმანით შუბლიდან ოფლი მიიწმინდა, — ყველანი უფროსები არა ვართ!  
— მერე, რომ ხართ, ასე ვინ აშენებს სახლს, შე კაი კაცო!—გაჯავრდა მოსული, — არ იცით როგორ უნდა გადაიხუროს სართული? კატა გაძვრება ფილებს შორის!  
მუშებმა აღმაცერად შეათვალერეს არამკითხე, შორიასლოს მდგარმა, შუახნის მალაღმა, გამხდარმა ხერომ საქმეს თავი ანება და ახლო მივიდა მათთან.  
— გზა ხომ არ შეგეშალა, ბიძი? ვინ გეკითხება რას როგორ ავაშენებთ!  
— რატომაც არ მეკითხება! — კოპები შეიკრა ყმაწვილმა, — აქამდე კი ვიცოდი რასაც ხმარებოდა ჩვენი გაკეთებული ფილები, მაგრამ თუ ზოგეერთები ამ ჩვენს ნაამბარს ასე წავგვიკარგდნენ წიხლს, რას ვიფიქრებდი.  
მუშებმა ერთმანეთს გადახედეს.

— შენ რა, იმ ქარხნიდან ხარ თუ?—გაურკვეველი მიმართულებით გაიქნია თავი მალაღმა, — აგრე გეთქვა თავიდანვე, შე კაცო!—და ბოხი, ხრინწიანი ხმით დაუცაცხანა გაშტერებულ მუშებს, — რას უდგებართ, ბიჭო? ვერ გაიგეთ, რა ვითხრეს? სწორეა ეს კაცი, ახლო მიადგიო! ისევე ასწიეთ და ისე მიადგიო!  
მერე ისევ ახალგაზრდას მიუბრუნდა და შერიგების წიხნად სიგარეტების კოლოფი გაუწოდა. თვითონაც გააბოლა და მზეს მიფიცხებული კატასავით მოჭუტა თვალები.  
— რა გვარისა ხარ, ბიძი?  
— კანდელაკი გასლაგართ, ავთანდილი.  
— რაზე მუშაობ იქ, ქარხანაში?  
— მთავარი ინჟინერი ვარ.  
— ჰოო, — პატივისცემით ჩაიბუბუნა ხერომ და უცებ გაიღმა. სახე კეთილი და ახალგაზრდული გაუხდა, — დარდი ნუ გაქვს, ჩემო ავთანდილ, საქმეს არ ვუღალატებთ. ამ ქუჩას ხომ უყურებ? რაც აქ ახალი სახლებია, სულ ამ ჩვენი მარჯვენითაა აგებული, — და ფიწალივით ხელი პროსპექტზე ჩარჩებულ რეასართულიანი შენობებისკენ გაიშვირა.

ავთანდილი ყოველ დილით ფეხით გამოვიდის ხოლმე მთელ პროსპექტს. უყვარს მისი ახალი სახლების თვალიერება, ახალშენებლობათა გნისის მოსმენა. გულს ხალისი ემატება, ხალისი და სიამაყე. ამ სახლების უმრავლესობა მათ ქარხანაში დამზადებული ბეტონის ფილებითა და მსხვილობოკიანი დეტალებით არის წაგები; საკმაოდ გრძელი სახელწოდება აქვს მათ ქარხანას — „საქმენინდუსტრიის რკინა-ბეტონის ნაკეთობათა პირველი ქარხანა“. მაგრამ სახელი რა ბედენაა, მთავარია საქმე. და მთელი კოლექტივიც ერთგულად ეწევა თავის ქამანს.  
თერთმეტი წელია, რაც ეს ქარხანა არსებობს. თვითონ ავთანდილმა, პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, აქ დაიწყო მუშაობა სა-მუშაოთა მწარმოებლად. მაშინ ამ ქარხანას ახლებდნენ და აფართოებდნენ. შემდეგ მეორე სა-წარმოო კომბინატში გადაიყვანეს, ჯერ სამაქროს უფროსად დანიშნეს, მერე კი საწარმოო ტექნიკური განყოფილების უფროსად. მაგრამ გული მაინც აქეთ მოუწევდა. და აი აისრულა სურვილიც.





მაშინვე შეარმატურებენ ოთარ ტეტუნაშვილი და ომარ ლვინაშვილი.

ამ ქარხნის კოლექტივმა პირველ წელს დიდი ომითა და ოდიგარით გამოუშვა ჩვიდმეტი ათასი კუბური მეტრი პროდუქცია. ახლა კი, დიდი ოქტომბრის რევოლუციის სახელოვანი იუბილეს წელს კანდელაკმა და მისმა ამხანაგებმა 114 ათასი კუბური მეტრის გამოშვება შესძლეს. მერე იცით რას ნიშნავს ეს 114 ათასი კუბური მეტრი? ოთხმოცდაათ ლამაზ, კეთილმოწყობილ რვასართულიან საცხოვრებელ სახლს!

აქ მუდამ დიდი სიზუსტეა საჭირო. ყოველ დილას ავთანდილის თავმჯდომარეობით ქარხნის მუდმივმოქმედი კომისია, პროდუქციის განყალიბების დროს, საგულდაგულოდ უკირკიტებს თვითეულ ფილას, თვითეულ დეტალს, სადმე წუნი არ გაიპაროს. ამ კომისიის ნებართვა თუ არა, ვერც ერთ დეტალს ვერ გაიტანენ ქარხნიდან; და აი აქ ატყდება ხოლმე დავა და კამათი. ყველაზე უფრო შეყალიბეთა ბრიგადირმა ვლადიმერ გრიგორიანმა იცოდა თავის გამოღება. მისი ბრიგადის მიერ ჩამოსხმული ფილების ზედაპირი სწორად უფრო ბზარებიანი და ხორკლიანი იყო, ვიდრე გლუვი, როგორც ეს ტექნოლოგიით არის გათვალისწინებული. ვლადიმერი მინც იმართლებდა თავს—ჯერ იყო და ფორმები არ ვარგა, ძველიაო. მისცეს ახალი ფორმები. მერე იყო და პრესი აფუქებს ყველაფერსო, გამოუცვალეს პრესიც, ბოლოს ბეტონის ხარისხი დაიწუნა. ესეც მოაგვარეს და გატყდა ბრიგადირი, იმ დღიდან მოყოლებული აი ეს რამდენიმე კვირაა მისი წუნი აღარავის უნახავს.

ხურობთან შელაპარაკებამ მთელი ათი წუთი დააკარგვინა ავთანდილს. ქარხანაში რომ მივიდა, კომისიის წევრები უკვე შეკრებილიყვნენ და მასღა ელოდნენ. აქვე იყო ქარხნის დირექტორი გიორგი თუშიშვილიც. ქარხნის ვეებერთელა ეზო სავსე იყო ლითონის ყალიბებით, უკვე დამზადებული ბეტონის ფილებით, ქრალბდნენ კოშკურა ამწეები, ფუსფუსებდნენ მუშები და ცვლის ინჟინრები. ავთანდილმა თვლით მოძებნა გრიგორიანი. მა-

ლალი, თხელი, შეატუხა კაცია ვლადიმერი. მაშინვე გამოარჩევთ სხვებში. ავთანდილმა მკლავში წაავლო ბრიგადირს ხელი.

— როგორ არის საქმე, ვალოდა?

გრიგორიანმა მთავარ ინჟინერს ამართული ცერი დაანახა.

— როგორც თქვენ გაგხიარდებათ!

მართლაც მისი ბრიგადის დეტალები ყველაზე ხარისხიანი გამოდგა. გრიგორიანს თვლები უბრწყინავდა.

— თუ არ დამძახავთ, პატივცემულო ავთანდილ, — მორიდებით მიმართა მან კანდელაკს, როცა შემოწმება დამთავრდა, — აი, მეც რაღაც მოვიფიქრე და, ერთი გასინჯეთ, იქნებ ივარგოს რამედ. და ჯიბიდან დახაზული ქაღალდის ფარატინა ამოიღო.

ავთანდილმა ცნობისმოყვარეობით დახედა ქა-

ღალდს. ეს მართლაც ძალზე საინტერესო რაცია-ნალიზატორული წინადადება იყო.

— კარგი მიგნებაა, ხვალვე წარმოადგინე ოფიციალურად.

მათთან ქარხნის ტექნიკური განყოფილების უფროსი ბორის ზურელიდი მივიდა.

— ავთანდილ, ტრესტიდან ნახაზები გამოგზავნეს, არ განვიხილოთ?

— კონსტრუქტორები თუ მოვიდნენ?

— აქ არის ყველა.

— მოვასწრებთ თათბირის დაწყებამდე?

— მე მგონი.

ნახაზები ახალი უნივერსალის სართულებს შორის გადახურვის ფილებისა იყო. ეს ნახაზები პირველად ამ რამდენიმე ხნის წინათ მოიტანეს. დიდი შეხლა-შემოხლა ჰქონდათ მაშინ კანდელაკსა და პროექტის ავტორებს. ნახაზებში მოცემული ფილების ზედა ბადეებს, მათი მეტად დიდი ზომების გამო, ქარხანა ვერ დამზადებდა. კონსტრუქტორებს ამის გაგონებაც არ სურდათ. მაგრამ ავთანდილმა მინც თავისი გაიტანა და ყველაფერი თავიდან ანგარიშებინა. ახლა ალბათ იმ ნახაზების ახალი ვარიანტები წარმოადგინეს. ვნახოთ, თუ კიდევ არ გაუჩნდათ სალაპარაკო და საკამათო.

მერე საწარმოო თათბირი დაიწყო. ეს თათბირი ყოველ ორშაბათს იმართება. მასში ყველა საამქროს უფროსი, განყოფილების უფროსი და ცვლის ინჟინერი იღებს მონაწილეობას. ამ თათბირზე განიხილავენ გასული კვირის ავტარგს, დაგეგმვენ მომავალი კვირის სამუშაოებს. კარგა ხანს გასტანს ეს თათბირი, მაგრამ თვითეულს უკვე ეცოდინება რა უნდა გააეთოს ამ კვირის მანძილზე, რას მოსთხოვენ მის საამქროს თუ განყოფილებას. ისინი იმსჯელებენ პროდუქციის ხარისხზეც, მანქანა-დანადგარების ვარგისობაზეც, ცემენტით, ხრეშითა და არმატურით საამქროების მომარაგებაზეც და კიდევ ვინ იცის რაზე. ჩვენი დედაქალაქის ახალშენებლობის ხომ ასე მოუთმენლად მოვლიან მუდამ მათ ნახელავს.

და თუ გნებავთ სიმართლე იცოდეთ, სწორედ ამ თათბირით დაიწყო კიდევ ქარხნის მთავარი ინჟინრის ერთი ჩვეულებრივი სამუშაო დღე.

ა. აბულაძე

მარცხნიდან მარჯვნივ — მთავარი ინჟინერი ავთანდილ კანდელაკი, საყალიბო საამქროს უფროსი ზურაბ რთველაძე, არმატურის საამქროს უფროსი აკაკი ჩიტაძე და მთავარი ტექნოლოგი გიორგი შარაძენიძე.



# ჩვენი სოფლის სახე

ფოტო მ. პარკაძისა

საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა სოფლის შინაარსი და ფორმა. საზოგადოებრივი ფორმაციების მონაცვლეობის და აგრეთვე ადგილობრივ პირობების მიხედვით იცვლებოდა სოფლის საერთო ხედი.

წარსულში სოფლების დასახლების სისტემაზე გარკვეულ გავლენას ახდენდა ოსმალების, სპარსელების, ლეკების და სხვათა გაუთავებელი შემოსევები. ეს იწვევდა სოფლების განაშენიანებას მტრისათვის მიუწვდომელ, ძნელად მისადგომ ადგილებში. ყველა აღნიშნულ გარემოებათა გამო, ძველ სოფლებს უგვეგმოდა იყო განაშენიანებული. საცხოვრებელი სახლები და სხვა დანიშნულების შენობები ქვეყნის მხარეების გაუთვალისწინებლად, უწესრიგოდ იყო განლაგებული.

საქართველოს სოფლების ახალი აღორძინება და აყვავება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო. სოფლებში მშენებლობის კულტურა საყოფარწოლო წყობილებამ შეიტანა. კოლმეურნეობებში ნატურალური და ფულადი შემოსავლის განუხრელად ზრდამ სათანადო პირობები შექმნა ძველი სოფლების კეთილმოწყობის დასაბუთად გადაქცევისათვის. სოფლებში, მეტწილად, გაფართოებული იქნა ქუჩები და სოფლებს შორის დამაკავშირებელი გზები, მოეწყო წყალსადენები, გაშვანება და სხვა. საკარმიდამო ნაკვეთების მეტი ნაწილი შემოზღუდული იქნა მარადმწვანე ცოცხალი ღობით. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს სოფელ გელათის (ლაგოდეხის რაიონი) მცხოვრებები მეტრე ხარატიშვილის საკარმიდამო ეზო (სურ. 1). ეზოს შესასვლელი გაფორმებულია კიპაროსის მწვანე ხეებით, ფრთხვანული თაღოვანი ტალავებით და დეკორატიული ბზის ბუჩქების ბორღით. საცხოვრებელი სახლის წინ მოწყობილია პორჩინტალური ტალავი, რომელიც თაღოვანი ტალავების გაგრძელებას წარმოადგენს. საცხოვრებელ სახლში შესასვლელი ხუთსაფეხურიანი კიბის ორივე მხარეზე მუქი წითელი ფერის ვარდები და ყვავილებიანი ბუჩქები არაჩვეულებრივ ლამაზსა და მიმზიდველსა ხდის ეზოს ხედს. კარმიდამოს დანარჩენ ნაწილში ხილის ბაღია გაშენებული. მსგავს მაგალითებს არაიშვიათად შეხვდებით საქართველოს სოფლებში.

სოფლის ცხოვრების კულტურული დონის ამაღლებამ დიდი ცვლილებები გამოიწვია საცხოვრებელი სახლის ტიპების თავისებურებაშიაც. თუ ძველი სოფლის საცხოვრებელი სახლის განუყოფელ ნაწილს ბოსელი და სხვა დამხმარე შენობები წარმოადგენდა, თანამედროვე სოფლის საცხოვრებელი სახლი ბოსლისა და საბძლისაგან გამოცალკევებულია და ქალაქის ტიპის საცხოვრებელი სახლის მსგავსია (სურ. 2).


კახეთის მთიან სოფლებში „ჩარდახიანი სახლი“ მიეწოდებას მიეცა, აგებენ ორსართულიან ქვიტყირის სახლებს შუშაბანდით და ვერანდით. ქვემო და ზემო იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმში, გურიასა და სამეგრელოში ოდასახლები შეიცვალა გაუმჯობესებული ტიპის საცხოვრებელი სახლებით. ქვის ან ხის ბოძებზე დაყრდნობილი სახლების ნაცვლად აგებენ ორსართულიან კაბიტაღურ შენობებს.

თუ ვასულ საუკუნეში გლეხის საცხოვრებელი სახლის აივანს ხის ბოძებზე დაყრდნობილი ფანჯარის მსგავსი დერეფანი წარმოადგენდა, ამჟამად აივანი საცხოვრებელი სახლის განუყოფელი ნაწილია და ხმარობენ როგორც სამუშაო ადგილად, ისე სასადილოთაც; ზაფხულში კი, კვირა-უქმეს მთელი დღე აივანზე უხდებოდა ყოფნა.

საგულისხმოა ისიც, რომ საცხოვრებელი სახლებისა და სხვა დანიშნულების შენობების მშენებლობის კულტურამ თავისი გამოხატულება პპოვია საშენ მასალების თავისებურ გამოყენებაშიც. ალიზისა და ფიცრული სახლები შეცვალეს ტუფის, ცემენტის წვრილი ბლოკების ან აგურის კედლებიანმა კაბიტაღურმა შენობებმა. ჩალისა და ყავარის ადგილი კრამიტმა, თუნუქის ფურცლებმა და შიფერმა დაიკარა.

ძველ დროს საქართველოში ოთახის მხატვრული გაფორმების ნიმუშს მოჩუქურთმებული დედაბოძი ან თავზე წარმოადგენდა. ახლა პირიქით, საცხოვრებელ სახლს არა აქვს არც თავზე და არც დედაბოძი. კოლმეურნე გლეხს ან მოსამსახურეს საცხოვრებელი სახლის ქერი და კედლები მოხატული აქვს ფერადი, ხოლო იატაკი — წითელი საღებავით. ღია აივანის ნაცვლად შუშაბანდი და ვერანდა აქვს გამართული.

მთელ რიგ სოფლებში შეინიშნება საცხოვრებელი სახლის სწორი (პორჩინტალური) გადახურვის შემთხვევები, სწორი გადახურვის მაგალითების მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ სოფლის მოსახლეობა გაზრდებულად იყენებს საცხოვრებელი სახლის სახურავს, ზაფხულში დღისით დასასვენებლად. ან



სამეურნეო დანიშნულებისათვის (სარეცხის გასაფენად, შეშის დასაწყობად და სხვა), ხოლო ღამე სუფთა ჰაერზე დასაძინებლად.

საზოგადოებრივი შენობების არქიტექტურული-მხატვრული გადაწყვეტის მხრივ ყურადღებას იპყრობს სოფ. ნატანების (მხახარაძის რაიონი), სოფ. ჯაფარიძის (წითელწყაროს რაიონი), სოფ. ველისციხის (გურჯაანის რაიონი) და სხვა სოფლების საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები.

ნატანების ადმინისტრაციული სახლისა და კლუბ-სკოლის შენობის ფასადების არქიტექტურულ გაფორმებაში, ძირითადად გამოყენებულია რთული ნაციონალური მოტივი და კლასიკური ფორმა. ფასადის არქიტექტურული დეტალები დამუშავებულია ნაციონალური მოტივის ადგილობრივ კლიმატურ პირობებთან შეფარდებით (სურ. 3).

ველისციხის კოლმეურნეობის კანტორის შენობის ფასადი, მისი არქიტექტ-





ტურული გადაწყვეტა (შენობაში შესასვლელი, პარაპეტი და სტილი) გვიჩვენებს, რომ არქიტექტორს გაუთვალისწინებია როგორც ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების ტრადიცია, ისე თანამედროვე სოფლის მშენებლობის მაღალი კულტურა (სურ. 4).

გემოვნებით და ფაქიზი შესრულებით ყურადღებას იპყრობენ ზემო ალვანის (ახმეტის რაიონი), ახალი სოფლის (ზუგდიდის რაიონი) და ზემოქედის (წითელწყაროს რაიონი) სკოლის შენობები და სოფლის კომუნალური დანიშნულების ნაგებობები, რომელთა ტერიტორია მწვანე ნარგავებითაა გაფორმებული. ყოველივე ეს გვიჩვენებს იმას, რომ სოფლებში დამკვიდრდა არქიტექტურული გადაწყვეტის და მხატვრული გაფორმების შესანიშნავი ტრადიცია.

მიუხედავად ასეთი დიდი ცვლილებებისა, ჩვენს სოფლებში, დაგეგმარებისა და კეთილმოწყობის მხრივ, ჯერ კიდევ გვხვდება არა თანაბარი განვითარების ტენდენციები, ბევრ სოფელს სჭირდება რეკონსტრუქცია და კეთილმოწყობა.

თვითელმა სოფელმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს საზოგადოებრივი ცენტრის ლამაზ არქიტექტურულ-მხატვრულ გაფორმებას. სოფლებში უნდა მოეწყოს სასპორტო მოედნები, დასასვენებელი ადგილები, ქვის ან ხის ღობეები უნდა შეიცვალოს მარადმწვანე ცოცხალი ღობით, უნდა დაირგას დეკორატიული ხე-მცენარეულობა.

სკკპ XXIII ყრილობის მიერ დასახული ამოცანები იმის შესახებ, რომ თანამედროვე სოფლის ცხოვრების კულტურა ავამაღლოთ ქალაქის მცხოვრებთა კულტურის დონემდე, იმას ივლისხმობს, რომ თანამედროვე სოფლები თანდათანობით გარდაქმნათ კეთილმოწყობილ დაბეზად და სოფლებად. ეს კი თავის მხრივ მოითხოვს სასოფლო რაიონების დაგეგმარების სქემის შედგენას, რომელმაც უნდა განსაზღვროს და დააკონკრეტოს სოფლის მეურნეობის ზეცილიზაციის საკითხები, დააზუსტოს სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალთა სიდიდე, სოფლის მეურნეობის განვითარება-გაფართოებისათვის და სასოფლო მშენებლობისათვის რაკიონალურად გამოიყენოს საგარეულები და სამშენებლო ტერიტორია.

**ზურაბ ალუღიშვილი**  
ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

# მამ გაუმარჯოს...

ნების ზვირთებსაც შორდებოდა ნისლი და მწუხრი,  
როცა სმოდნიდან  
ოქტომბრის მზეს ჰვრეტდა ლენინი...  
და საქართველო მიხუცებოდა „ავრორას“ ქუხილს,  
ახალ ეპოქის პერგამენტზე გადაწერილი.

გამოვიარეთ ზუა დიადი და უძნელესი  
და საბოლოოდ შეწყდა მღვრიე  
წვიმების თქეში;  
ჩვენ მოვდიოდით ბრძოლით, რწმენით,  
და თებერვალში  
თავისუფლება ვიწვიეთ საქართველოში.

ამაღლებულა, დღეს ღიმილი ამაღლებულა  
და სიამაყით ავსებულა გულები ჩვენი,  
რომ დიდ სიცოცხლის მაჯისცემას,  
იმედს — მშრომელის,  
მე ახლაც ვხედავ,  
ვესალმები: ვლადიმერ ლენინს!  
დადის ბელადი ჩვეულებრივ, მხნე ნაბიჯებით,  
კაცი, რომელმაც მზე აუნთო ეპოქას თვალში...  
... ეს მე ვიყავი, გუშინ მარსზე რომ ავიტყერი  
და გავადვიე ვარსკვლავთი ოქტომბრის მარშით;  
გავადვიე და გავიყვანე ცისფერი გზები,  
დავაკავშირე მზის სისტემის ყველა პლანეტა,  
დავიმორჩილე ცადაწვდილი ამაყი მთები  
და ჩავაღწიე სიღრმეებში ოკეანეთა.

და ისევ მე ვარ, რომ მომუცება ახალგაზრდობა,  
რა შეაჩერებს ამ დინებას, ამ აღტაცებას,  
მოდიან, მოაქვთ სიხარული, მზე და ვარდობა,  
მოდიან შრომის და მშვიდობის ჭარისკაცებად.  
მოდიან, ქმნიან, ინთებია სხვა საოცრებით  
და უფრო მაღლა, იწვევს მაღლა ცა დიდი ფიქრით...  
ვიცი, ქართველი კოსმონავტიც მიწას მოწყდება  
და აიჭრება ხვალ მთვარეზე,  
ან მთვარის იქით!..

მამ გაუმარჯოს, ეს დღეები ვისაც არ ღლის და  
უფრო ავსებულ, მაღალ მზეებს ესაუბრება,  
ვინც გადმოხედავს დედამიწას სხვა სიმაღლიდან  
და ისევ მიწას, პირველ მშობელს დაუბრუნდება,  
დაუბრუნდება, ვითარ ცეცხლი პრომეთეოსის,  
საუკუნეთა სიმაღლეთა წინაშე მდგარი.  
არის სიცოცხლე რომელიღაც მნათობზე, ალბათ,  
მიწა, ტყეები, ზღვები, თოვლი, წვიმა და ქარი.

არის სიცოცხლე —  
და სიცოცხლით ვცხებით ასე  
საქართველოს ცას მოოქროვილს  
და მკერდ გადაშლილს.  
მძლავრი ეპოქის მაჯისცემა სიცოცხლით გვავესებს  
და გვიხარია ჩვენს დროშაზე ფერთა თამაში.





ბონდო კაშვალა

## ყრითვის პეტიციის

### სამი პეტიციონი

გუშინ ვხარობდი, დღეს მოწყენილი— ვარ და არავის მხურს ვაკარება, ისე დამსუსხა მისი წერილის, ბოლო წერილის მღვრივ ბეჭადებმა.

ეს დღე წამართვა, იქნებ საღამოც ისე მიმწუხრდეს, ვერ გავიხარო, შენ მომეშველი, ცაო მაღალა... იქნებ დღის დღის წყენა მაქმარა.

ამოავორე გოლიათური მზე, გამითენე დილა უქარა, არ ვახორციელო სიტყვა კართული, ვიდაგი ჩაღლებში და ვიმწუხარო.

### იქნებ ძე პაჭკოვები

მინას და ღამას

თქვენ ძმა დაქარგეთ, ძმა ერთადერთი, ზიხარო შევებით შემოსილებმა. მცე თქვენებარ ერთი ძმა მომცა ღმერთმა და თქვენ კი ჩემი ხართ ძმისშვილები.

ვხედავ თქვენს ცრემლებს, თქვენს მწუხარებას, უსიტყვო გლოვით რომ გტკივათ გული, ჩვენი ოჯახის შინა და ხარება, შენ არ შემოვა აჩქარებულნი.

მას სძულდა ცრემლი, სძულდა წუხილი, დაიმორჩილა უცნაურ მარცხმა, ის ბიჭი იყო ჭეჭა-ჭუხილის, და ქუხილითვე ქვას დაენარცხა.

მამას თუ ახრჩობს თამბაქოს ბოლი, თქვენ დებს კი მტეი მხნეობა გმართებთ, ფეხს იღვამს უკვე მისი ობოლი, მამით ობოლი, ბატარა მართვე.

მასზე წარუწვია დღეს თქვენი ვალი, ის არის ახლა სინათლე თვალის, ნუ შეიცვალდებთ, დროდღარო მკაცრი შესძახოთ მტკიცედ სიტყვა მართალი... გულით მართალი, საქმით მართალი, სიტყვით მართალი, რომ დარჩეს კაცი.

მე შევიჩვიე უკვე შენი შეცვლილი სახის დუმილით თვალთვალს, ფერგადასულ ხაგეთა ცქერას, არხება შენი კვლავინდურად აღარ შეძახის, ნუთუ ჩემგან შენ, შენ ასეთი ბედი გეწერა.

რა დავიჭერო? სინამდვილეს სათი გავემცე, რომელ გზით, როგორ მოვინებო ეს განსაცდელი? ვმალე ეს ქირი, ვიმდუმარო, ვეცხე, ვერ ვამცე, ვერ ავიცილე თახი ჩემი გამოსაცდელი.

ეს მერამდენე გაზაფხული მოდის ფრთხილით, შენი ღამილი, სმა შენი არ მომნატრებია, ბუნება ისევე ამჟღავნებს ყველთნ წკრიალებს, და ისევე ისე, ის კორდები და ის მთებია.

კვირების ფეთქვა, ყვავილები, მოლის ბიბინი, გვებმობდა, მათი ფორაქი არ გვაჩერებდა, უკველ გაზაფხულს ვებწარაფოდით მთისკენ სირბილით, და უღარდელი ვნეტარებდით მის ჩანჩქერებთან.

რა კარგი იყო, რა სხეტაკი, რა მშვენიერი, იმ დღეთა ტვრეტით მოგონებას რა შეედრება... ხშირად მათიქრებს მაშინდელი შენი იერი, — ნუ დამივიწყებ, მაცაცხელიო, — მემუღარება.

### მერე კი, მერე...

თავდავიწყებით და გატაცებით უცებ, უცნაურ მე ვიწყებ წერას. რითმის წინ ერთი წაბარბაცება და თითქოს წყდება, ბქრება სიმღერა...

ხშირად კი, ხშირად რითმებს არ ვჩივი, სათქმელი როცა დამაჩარწუხებს... მერე კი, მერე, ვარ გულდაპირილი, ცუდი რითმები მერე მაწუხებს...

### ვინმეს წინაშე

ვიდაცის მიმართ, ვინმეს წინაშე ვალდებულად თუ არ იგრძენ თავი, შენ დარცხენილი რჩები ბინაში, იქნები ავი შესახებდავი.

თუ არ გფუნს ნათელს სიყვით ხევისი, და ფიქრობ, ყოფნა ასე სჯობია, კაცური კაცი შეგძახებს რისხვით: — გაგისკდეს მიწა, ცა დაგმობია...

## ერთი წიგნის ბედი

„კარგა ხანია ნათქვამია, რომ წიგნებსაც, ისევე როგორც ადამიანებს, თავისი ბედი აქვთო; კერძოდ ეს ითქმის წიგნზე „როგორ იბრძვიან ქართული გლეხები თავისუფლებისათვის“. მოსკოვის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცულია მოსკოვის სასამართლო პალატის ოთხტომიანი სასამართლო-სამომხმდებლო საქმე, რომელიც მოგვიტობრობს ამ წიგნის საოცარ თავგადასავალზე.

ეს მცირე მოცულობის წიგნი, პირველი რევოლუციის წლებში ტვერის გუბერნიის ქანდარმთა სამმართველოში ერთ პოლიტიკურ პატიმარს ჩამოართვეს და, რადგანაც იგი მოსკოვში იყო გამოცემული, გადაუგზავნეს მოსკოვის გუბერნიის ქანდარმთა სამმართველოს უფროსს. მან კი იგი თავის მხრივ 1907 წლის 21 მარტს, 4851 ნომრით მოსკოვის ბეჭდვითი სიტყვის საქმეთა კომიტეტს გაუგზავნა თხოვნით დაემოწმებინათ, შეიძლებოდა თუ არა მისი ხალხში თავისუფლად გავრცელება. აღნიშნული წიგნი გამოცემული იყო გამოცემლობა „მოლოდია როსიას“ მიერ. იგი დაიბეჭდა ა. პ. პოლავსკის სტამბაში, 1906 წელს, 25 ათასი ტირაჟით. ავტორია შ. გორცევი. სატიტულო ფურცელზე არის ოვალური ბეჭედი წარწერით: „ყუბანის ოლქის წიგნის მალაზია—„ობობრნიე“.

მოსკოვის საცენზურო კომიტეტმა განიხილა აღნიშნული წიგნი, დასკვნა, რომ იგი თავისი შინაარსით რევოლუციური ხასიათისა და აკრძალა იგი. წიგნში ავტორი უღრმესი თანაგრძობით აღწერს ქართველი გლეხობის შეიარაღებულ აჯანყებას, მის თავდადებულ ბრძოლას ბნელი რეაქციის წინააღმდეგ. წიგნის ბოლოში ავტორი იმედს გამოთქვამს, რომ მართალია რევოლუცია დროებით დამარცხდა, მაგრამ ის კვლავ იფეთქებს და დამთავრდება ხალხის სრული გამარჯვებით.

წიგნის ავტორი დაწვრილებით იხილავს საქართველოს გლეხთა, კერძოდ კი გურიის გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას და ასკვნის, რომ „1905 წლის თებერვლისათვის გურიაში მოიპოვა სრული თავისუფლება“, ასე რომ, ნათქვამია შემდეგ წიგნში, დევნილი რევოლუციონერები თბილისიდან, ქუთაისიდან და ბათუმიდან საზღვარგარეთ კი აღარ მიდიოდნენ თავშესაფრის საძებნელად, არამედ გურიაში, სადაც უშეშრად გრძობდნენ თავს.

წიგნში დაწვრილებით არის აღწერილი გურიის მიღვეარების მიზეზების გამოსარკვევად კავ-

კასიის მფენსაცხლის თანაშემწის სულთან კრიმ-გირეის ჩასვლა; აქვე ფაქტობრივ მასალის საფუძველზე ფართოდ არის გაშუქებული თბილისის გუბერნიის გლეხობის რევოლუციური ბრძოლა. აზნაურ აბდუშელიშვილის შავი რაზმის საპასუხოდ გლეხებმა შექმნეს წითელი რაზმები; ავტორი აგვიწერა როგორ დაესხნენ თავს აბდუშელიშვილის შავრაზმელები სოფელ ხურგალეთს. „თავდაზნაურობას, — ვკითხულობთ წიგნში, — დახმარებას უწევდა მეფის მთავრობა, იგი ჰგზავნიდა ჯარებს ქართლში, რასაც ხშირად მოსდევდა ჯარისა და გლეხების სისხლისმღვრელი შეტაკებები. სადგურ ქსანთან გლეხები თავს დაესხნენ თავად მუხრანსკის მამულს, რომელსაც ჯარისკაცების ასეული და კაზაკები იცავდნენ. კაზაკებმა იშვილეს ხმლები და დაერივნენ გლეხებს. მიუხედავად იმისა, რომ გლეხები მხოლოდ ჯოხებითა და ცივი იარაღით იყვნენ შეიარაღებულნი, მაინც დადი წინააღმდეგობა გაუწიეს კაზაკებს. დასკრეს ოფიცერი, ბევრი

(დასასრული იხ. მე-10 გვ.)







შავის რაიონის ტვითხოქმელი ანსამბლი.

ფოტო თ. არჩვაძისა.

# რეფორმამ ესას უნდა გაითვალისწინოს

ზაფხულის თვეები... ჩვენი თვალწარმტაცი აგარაკები.. ყველას კარგად გახსოვთ რამდენი ხალხი აწყდება ასეთ დროს ფოსტასა და ტელეგრაფს, დაუსრულებელ ნაქადად მოდიან დამსვენებლები. კავშირგაბმულობის მუშაკები ძლივს აუდიან დეპეშებს, საქალაქთაშორისო საუბრებს, გამოახებებს, კორესპონდენტებს. ყველაზე უფრო აქ იგრძნობა, თუ რაოდენ ძლიერია საკუთრატო ციებ-ციხლება, მაგრამ აი ახლოვდება ზამთარი და სულ უფრო და უფრო ნაკლები ხალხი ეტანება კავშირგაბმულობის დაწესებულებებს; ბოლოს, შუა ზამთარში თითო-ორი კაცი-ღა მიაკითხავს მათ.

ეს, ასე ვთქვათ, ჩვეულებრივი მოქალაქის, თუ დამსვენებლის შემთხვევითი შთაბეჭდილებაა, მაგრამ მოდი თუ დამსვენებლის როლში წარმოვიდგინოთ მგვერდები-ეკონომისტი. ცხადია, კურორტზე ის იმით არ მიდის, რომ ეკონომიკის პრობლემებზე იფიქროს, მან უნდა დაისვენოს როგორც ყველა სხვა მოქალაქემ. მაგრამ სამუშაოზე დაბრუნებისას ცუდი როლი იქნება გაიხსენოს ზემოაღწერილი სურათი. საქმე ისაა, რომ ჩვენ დღემდე არ ვითვალისწინებთ იმ სეზონურ ცვლილებებს, რომლებიც შესამჩნევია კავშირგაბმულობის საკურორტო დაწესებულებების მუშაობაში. ზამთარში კავშირგაბმულობის საწარმოთა ძირითადი ფონდების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოებაში მონაწილეობას არ იღებს, გადასახადი კი მათზე ისეთივე რჩება, როგორც ზაფხულში იყო. ეს კი აშკარა შეუსაბამობაა. შედარებისათვის ავიღოთ საზღვაო და სამდინარო ტრანსპორტი; აქ, ზამთრის პერიოდში დაკონსერვებულ ძირითად ფონდებზე გადასახადი არ არის დაწესებული, ამორტიზაცია კი არ დაირიცხება. რატომ არ უნდა გადაიტანოთ ეს წესი კავშირგაბმულობის სფეროშიც?

უკვე ეს ერთი მაგალითიც ნათლად მოწმობს, თუ რაოდენ საყურადღებო პრობლემები იჭრებიან ჩვენს წინაშე, როცა ვიხილავთ რეფორმის საკითხებს კავშირგაბმულობის დარგში.

კავშირგაბმულობამ, როგორც მატერიალური წარმოების მნიშვნელოვანმა დარგმა, თავის ყოველმხრივ განვითარებას სწორედ სოციალისტური რევოლუციის შემდეგ მიაღწია. განვლილი ნახევარი საუკუნე არის პერიოდი კავშირგაბმულობის საშუალებათა არა მარტო რაოდენობრივი ზრდისა, არამედ გრანდიოზული ნახტომისაც უბრალო სატელეფონო სადგურებიდან კავშირგაბმულობის კომსოსურ საშუალებებამდე.

მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელი კარლ მარქსი კავშირგაბმულობას „ცნობათა გადაცემის ინდუსტრია“ უწოდებდა. თუ ადრე, ძველ რუსეთში მისი მთავარი დარგი იყო საფოსტო კავშირი, რომელიც ძლივს აკმაყოფილებდა მაშინდელი ეკონომიკის ისედაც ერთობ შეზღუდულ მოთხოვნილებებს, ახლა თითქმის არ მოიძებნება ადამიანის საქმიანობის არც ერთი დარგი, სადაც არ იყენებდნენ ელექტრონული კავშირის განსაკვირვებელ საშუალებებს. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ფართო გავრცელება ჰპოვეს რადიო, ტელევიზია, ადგილობრივმა და საქალაქთაშორისო ტელეფონებმა, ტელეგრაფმა.

მიმდინარე სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია მოითხოვს ინფორმაციის გადაცემის საშუალებათა წარმოებისა და მეცნიერების სულ უფრო მეტად სრულყოფასა და განვითარებას. უკვე ამჟამად კავშირგაბმულობის გარეშე მრეწველობის ზოგიერთ დარგში შეუძლებელია არა მარტო ცალკეული ტექნოლოგიური პროცესების, არამედ ავტომატურ მოწყობილობათა მთელი სისტემებისა და ელექტრულ-გამომთვლელი ტექნიკის რაციონალურად მართვა. დიდად გაიზარდა კავშირგაბმულობის როლი სახელმწიფოს მართვაში, პარტიის კულტურულ და იდეოლოგიურ მუშაობაში.

კავშირგაბმულობა ხელს უწყობს კომუნიზმის მატერიალურ ტექნიკურ ბაზის შექმნის პროცესის დაჩქარებას და წარმოადგენს მის უაღრესად აქტიურ ნაწილს.

ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევრიდან ჩვენი ქვეყნის კავშირგაბმულობის საწარმოებში ინერგება სამეურნეო ანგარიშგება. მანამდე, ყველა ამ საწარმოში შემოღებული იყო ბიუჯეტურ-სანუსხო დანახარები, ე. ი. ყველა საწარმოო ხარჯი იფარებოდა ბიუჯეტური ასიგნების ანგარიშში. სამეურნეო ანგარიშის დანერგვამ კავშირგაბმულობის სისტემაში, შექმნა წარმოების განვითარების ისეთი მძლავრი ფაქტორის ამოქმედების რეალური შესაძლებლობა, როგორც არის მატერიალური სტიმულირება საუკეთესო შრომითი წარმა-

ტებების მიღწევისათვის. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს სიახლე კავშირგაბმულობის საწარმოებში ინერგებოდა ერთგვარი დამახინჯებით, ჩვენს წინაშე იყო საამერნეო ანგარიში არა ამ კატეგორიის ეკონომიური გავებით, არამედ მისი ფორმა.

ასეთ ვითარებაში, გასაგებია, რომ თანდათან დაკარგეს თავიანთი მასტიმულირებელი მნიშვნელობა თვალსაჩინო ეკონომიურმა ბერკეტებმა, — მოგვამ, რენტაბელობამ, პრემიებმა. პრემია, როგორც მასობრივი პროფესიის მუშაკთა ხელფასის ნაწილი, ვეღარ ასრულებდა თავის ფუნქციას. იგი მხოლოდ სიმბოლურ ხასიათს ატარებდა. ვეღარც საწარმოო ფონდი ასრულებდა თავის წამახალისებელ როლს. ამ პირობებმა მეტისმეტად შეზღუდეს ბევრ საწარმოში მისი წარმოქმნის აუცილებლობა. ხოლო იქ, სადაც იგი ჩნდებოდა, მისი აბსოლუტური სიდიდეები ვერ უზრუნველყოფდნენ მუშაკთა საჭირო წახალისების საქმეს. ასე, მაგალითად, კიევის ფოსტამატსა და საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურში, თიურთი გაანგარიშებით, თვითეულ მუშაკზე წამახალისებელი თანხა საოცრად მცირე იყო — ერთჯან 23 კაპიკი თვითეულზე, მეორეჯან — 44 კაპიკი.

დაახლოებით ასეთი მდგომარეობა იყო სხვა რესპუბლიკებშიც. ყოველივე ზემოთქმულის გამო, ცხადია, რეფორმა აქ პირდაპირ რომ იტყვიან, მისწრება იყო. კავშირგაბმულობის ცალკეული საწარმოების გადაყვანა დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ მეთოდებზე დაიწყო დიდი მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების შემდეგ 1965 წელს და დამთავრდა 1966 წლის ივნისში.

ჩვენში, უკრაინაში, რეფორმის განხორციელებამ ბრწყინვალე შედეგები გამოიღო. კავშირგაბმულობის ყოველი საქალაქო კვანძის კოლექტივმა შესძლო ათი ათასი მანეთობით გაეზარდა შემოსავალი, მოგება, ამასთან შეემცირებინა საშუალო ერთეული.

ეს წარმატებები მიღწეულ იქნა მას შემდეგ, რაც ეკონომიურმა სტიმულატორებმა დაიბრუნეს თავიანთი წამახალისებელი მნიშვნელობა. ექვს არ იწვევს, ახალმა ეკონომიურმა რეფორმამ როგორც მთელს ჩვენს სახალხო მეურნეობაში, ისევე კავშირგაბმულობის სფეროშიც მეტად დიდი სიკეთე მოიტანა. ამაზე ჩვენ არ შეგვირდება, დღეს იგი თავისთავად მეტყველებს. ჩვენ გვინდა მხოლოდ აღვნიშნოთ ცალკეული ხარვეზები, რომელთა დროულად გამოწერებას ერთობ დიდი მნიშვნელობა აქვს კავშირგაბმულობის მუშაკებისათვის.

ავიღოთ თუნდაც ხელფასის ფონდის დაგეგმვა. ეს ფონდი, კავშირგაბმულობის მეურნეობაში რჩება რეალურად გაწეული შრომის აღრიცხვის გარეშე, რადგან იგი საერთოდ სტაბილურია მაშინაც, როცა გადაჭარბებით სრულდება პროდუქციის მოცულობისა ან შემოსავლის გეგმა, და მაშინაც, როცა ეს გეგმა არ სრულდება.

ეს გარემოება, რა თქმა უნდა, უარყოფით გავლენას ახდენს მატერიალური წახალისების ორგანიზაციაზე. ხელფასის ფონდი წარმოადგენს მასობრივ პროფესიის მუშაკთა პრემირების წყაროს მათი შრომის მაღალი მაჩვენებლებისათვის. თუ იგი არ იცვლება გეგმის შეუსრულებლობის ან გადაჭარბებით შესრულების შესაბამისად, მაშინ არ წარმოიქმნება არც პრემიებისათვის საჭირო სახსრები. ამიტომ საჭიროა კვლავაც გამოიძებნოს ხელფასის ეკონომიის ახალი გზები.

შემდეგ, ხელფასის დაგეგმვის არსებული სისტემა გასულ წელს შექმნილი საშუალო მაჩვენებლის მიხედვით — ეწინააღმდეგება ეკონომიური რეფორმის პრინციპებს და ძირს სცემს მუშაკთა დაინტერესებას ხელფასის ფონდის მომჭირნეობით გამოყენების თვალსაზრისით. თუ საწარმო მთელი წლის განმავლობაში გადაახარჯავს ხელფასის ფონდს, იგი მიიღებს უფრო მაღალ საშუალო მაჩვენებელს, ამის გამო მომავალი წლისათვის ხელფასის ფონდის დაგეგმვის დროს მას გამოუყოფენ უფრო მეტ სახსრებს, ხოლო იმ საწარმოს, რომელმაც ეკონომიის მიაღწია ამ ერთი წლის მანძილზე, მეორე წელს უგეგმავენ ხელფასის უფრო მცირე ფონდს.

ამასთანავე, ხელფასის ფონდი უნდა დაიგეგმოს არა გასული წლის საშუალო მონაცემის კვალობაზე, არამედ პროდუქციის ან შემოსავლის გადიდების მიხედვით.

და ბოლოს, ახალი სისტემის მიხედვით მატერიალური წახალისების ფონდების დარიცხვა წარმოებს იმის მიხედვით, თუ რაოდენ გაიზარდა შემოსავალი წინა წელთან შედარებით, და მაინც ეს მაჩვენებელი სწორედ ვერ ასახავს კავშირგაბმულობის სხვადასხვა დარგის საწარმოთა კოლექტივების ნამდვილ მონაწილეობას საბოლოო შედეგის — მოგების შექმნაში. აქ ბევრი რამ დამოკიდებულია არა კოლექტივებზე, არამედ მომჭმედ სატარიფო სისტემაზე. კავშირგაბმულობის სხვადასხვა დარგების რენტაბელობაში ამჟამად დიდი სიჭრელე შეიმჩნევა. როგორც ვხედავთ, აქაც საჭიროა განსაზღვრული კორექტივების შეტანა, და ალბათ ამ საკითხებს სხვა ამხანაგებიც დაუფიქრდებიან.

დოც. ბ. კუჩერაძე  
ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი.





# ვინც წიგნის ტრფიალია

საგომ კლინიკაში

მერვე მალაზიაში.

ფოტო თ. არჩვაძის

წიგნის მალაზიის ხშირი სტუმარი ვარ. ის ჩემთვის მხოლოდ საგავრო და წესებულბა როდია. ყოველთვის, როცა იქ შევდივარ, იმ გრძნობით შევდევარ, რომ შევიძინე წიგნი, რომელიც სიამოვნებას და სიხარულს მომანიჭებს. როცა რომელიმე კარგ წიგნს ვნახავ, ასე მგონია ხოლმე, მეგობარს შევხვდივო.

ვინც წიგნის მოყვარულია, სწორედ ამ იმედით და გრძნობით შედის მალაზიაში. მაგრამ ეს ნახევარი საქმეა — წიგნის ასეთივე მეგობარი და მოყვარული უნდა იყოს ის, ვინც დახლში დგას. ჩვენ მათ გაცილებით მეტ ინტელექტუალურ და ეთიკური ხასიათის მოთხოვნებს ვუყენებთ. მათზე ხომ ბევრი რამ არის დამოკიდებული. როცა ჩვენ წიგნის მალაზიაში შევხვებით, უპირველეს ყოვლისა, ის გვინდა ვიგნოთ, რომ იქ გამყიდველი მეგობრულად არის განწყობილი მყიდველსადმი. ასეთი კონტაქტი აუცილებელია. ამ საუბარში თქვენ გზიდან არა მხოლოდ წიგნის შეძენის პერსპექტივა, ამასთან ერთად ის გარემო, ის კეთილი ატმოსფერო, რომელსაც იქ ელოდებით.

მაგრამ, საკითხავია, ყველა წიგნის საგავროშია ამგვარი ატმოსფერო? სინანულით უნდა ითქვას, რომ არსებობენ ისეთი მალაზიები, რომლებიც ამ მხრივ სხვადასხვა სახის, რბილად რომ ვთქვათ, დაბრკოლებებს უქმნიან მყიდველს. თითქოს უბრალო და უმნიშვნელო ამბავიაო, მაგრამ, თურმე, ამ წერილმანსაც შეუძლია ზიანის მიყენება. აი, მაგალითად, მისხვალ დახლთან, ხედავთ, რომ კედლის სიმძლავრე მიჭედოლ თაროებზე სხვადასხვა ფერის ყუდებში ჩასმული მეცნიერული თუ მხატვრული ნაწარმოებებია ჩამწკრივებული, მაგრამ, მელოისა და ყურძნის არ იყოს, მარტო თვალი ხედავს მათ. თქვენ, მყიდველს, სამუალებმა არ გაქვთ მიწვდით მას, ხელში აიღოთ, ვადაფურცლოთ. ანორტაციას მაინც გადაავლოთ თვალი. თაროებთან არც მივიშვებთ გამყიდველი, რომელიც ზოგჯერ ისეთი სახით დგას დახლში, თითქოს ზღუდეს დაბდეს თქვენსა და წიგნებს შორის. ეგ კი არა, ხანდახან წაბუზღუნებს კიდევაც, თუ რამდენიმე შეკითხვა მიეცე, — ისე მიაჩნია, რომ აბეზარი ხარ და დროს ართმევ. ის იმასაც ცდილობს ხოლმე, რომ მალე მოგიშოროს. ამის შემდეგ გული გაგიტყდება კაცს და, მეტი რა ძალაა, უნდა გაეცალო იქაურობას.

ისეთი საგავრო, სადაც თქვენ, მყიდველი, ვერ გრძნობთ თქვენდამი ყურადღებას და სადაც თქვენთვის არ სცალიათ, ცხადია, აღარ დავიბადებთ სურვილს მეორედ შეხვდეთ იქ.

მაგრამ, ჩვენთვის საბედნიეროდ, თბილისში არა ერთი ისეთი წიგნის მალაზიაა, სადაც ყოველთვის სიამოვნებით შეადებთ ხოლმე კარს, სადაც ყველა მყიდველს, ვინც უნდა იყოს ის, მუდამ ყურადღებითა და, მე ვიტყვოდ, მეგობრულად ხვდებიან.

ასეთების რიცხვს ეკუთვნის, მაგალითად, წიგნის მალაზია № 8. ეს საგავრო გახსნილია არც თუ თვალსაჩინო ადგილზე, შენობაც, რომელშიაც ის მოთავსებულია, თვალს არ იპყრობს. მაგრამ შეხვალთ შიგ უფ არა, უმაღლვე იგნობთ იმ მეგობრულ ატმოსფეროს, რომლის შესახებ ზემოთ ვლაპარაკობდი. აქ უმაღლვე იგნობთ, რომ მალაზიის ყველა მუშაკი მყიდველზე ფიქრობს და მასზე ზრუნავს. მყიდველს აქ სრული შესაძლებლობა აქვს იმისა, რომ გადმოიღოს თაროებიდან და შეარჩიოს წიგნი, გადაფურცლოს და ტექსტში ჩაიხედოს, ხოლო როცა რაიმე ცნობა დაჭირდება, საჭირო და თავზიანი პასუხი მიიღოს.

მყიდველსადმი ამგვარი ყურადღების შედეგია ალბათ ის ამბავი, რომ ამ მალაზიაში მუდამ ბლომადაა ხალხი. აქ ხშირად დაინახავთ მეცნიერებს, ლიტერატორებს, ხელოვნების მუშაკებს და ახალგაზრდებს, რომლებსაც უმაღლვე შეამჩნევთ, რომ სისამაოვნო გარემოში გრძნობენ თავს. მათ შემხედვარს არა ერთხელ მიფიქრია, რომ კარგი იქნებოდა ასეთ მალაზიაში მოეწყოთ ოთახი-სალონი, სადაც წიგნის მოყვარულთა საშუალება მიეცემოდათ შეხვედროდნენ ერთმანეთს და ერთიმეორისათვის თავისი აზრი გაეზიარებიათ. წარსულში. ხომ არსებობდნენ ასეთი ოთახი-სალონები წიგნის საგავროებში. ასეთები. როგორც ალბათ ცნობილია თქვენთვის, ლიტერატურის ისტორიაში და ზოგჯერ არა ერთი თვალსაჩინო ადამიანის ბიოგრაფიაშიც აღინიშნებიან. განაცუდი იქნებოდა რაღაც მსგავსი ამისა ჩვენს დროშიაც, როცა საგრძნობლად მეტი გვყავს წიგნის მოყვარული, შემოვლოთ თუნდაც ერთ-ორ ადგილას? სი-

ტყვა „სალონი“ კი ნურავის შეაშინებს, ასეთი სალონისათვის საცვებით საქმარისი იქნებოდა ერთი უბრალო მაგიდა და რამდენიმე სკამი! რამდენიმე ათეული წლის წინათ საქართველოშიც იყო მსგავსი რამ ამისა. გავიხსენოთ ოცხელოსა, მთავრიშვილის და ბეჟანეიშვილის წიგნის მალაზიები ქუთაისში და არჩილ არაბიძისა თბილისში. ჩვენს პირობებში ხომ უფრო ადვილია ამგვარი „სალონების“ შემოღება! ჩვენი „საქწიგნი“, ხომ, ბევრად უფრო მდიდარი ორგანიზაციაა და მეტი შესაძლებლობა აქვს, ვიდრე კერძო პირებს ჰქონდათ. ჩვენს „საქწიგნს“ საერთოდ კარგად აქვს საქმე დაყენებული. ამასთანავე მრავალი კვალიფიციური მუშაკი ჰყავს, მაგრამ რამდენად ამაღლდებოდა და პაპულარული გახდებოდა მისი სახელი, თუ უფრო დაუახლოვდებოდა მკითხველ მასს!

რახან წიგნის საგავროებზე ჩამოვარდა სიტყვა, გაკვრით მაინც შევეხოთ ბუკინისტურ მალაზიებსაც. უფროსი თაობის თბილისელებს ალბათ კარგად ახსოვთ ქაშვილის ეკლესიის ქვემოთ ჩამწკრივებული პატარა, ვიწრო დუქნები, სადაც ძველი გამოცემები იყიდებოდა. ეს საგავროები მათ პატრონებს ისეთ მცირე შემოსავალს აძლევდა, არა მგონია, საცხოვრებლად ჰყოფნოდათ. მაგრამ ეს გარემოება გულს არ უტრუნებდა პატრონებს, მათ ფიქრადაც არ მოუვიდოდათ სხვა რაიმე საქმისათვის მოეკიდნათ ხელი. მათ გაცაცებით უყვარდათ თავისი პროფესია. გაყვითლებული ფურცლები ძველი ტომებისა უყვარდათ იმ ზომამდე, რომ ზოგჯერ გაყიდვაც ენანებოდათ. და, წარმოიდგინეთ, სულაც არ იყვნენ ფულზე დახარბებულნი. ეს ამბავი დღეს ზოგიერთმა იქნებ ძნელად დაიჯეროს, მაგრამ ასე კი იყო: უცნობ მუშტარს, თუნდაც მას ზედმეტად შეეძლია, უარს ეტყვოდა, ხოლო ვისი ამბავიც იცოდა, რომ მისთვის ნამდვილად საჭირო იყო, უფრო მცირე ფასში მისცემდა. იმ, თუ შეიძლება ასე ითქვას, რომანტიკოს ბუკინისტებს საამაყო ჰქონდათ, როცა რაიმე თვალსაჩინო ტომებს შეიძინდნენ და ამის შესახებ კიდევაც ატყობინებდნენ თავიანთ მუშტარებს.

გულდაწყვეტით უნდა ვთქვა, რომ გადაშენდა ამგვარი ბუკინისტების პლენა. ოფიციალურად თითქოს მოიპოვება ერთი თუ ორი ძველი წიგნების მალაზია, მაგრამ რა შორს არიან ისინი თავის დანიშნულებისაკენ! იქნებ ვინმემ ითქვას, რა ქნან მალაზიის მუშაკებმა, თუ გარედან თვით მოქალაქემ არ შესთავაზა მათ წიგნები? ან იქნებ აღარც მოიპოვება ასეთი? საქმეც ისაა, რომ მოიპოვება და ბევრიც. მრავალი იშვიათი გამოცემა იღუპება ოჯახებში, — მამა ან პაპა დაინტერესებულნი იყო, ვთქვათ, მეშუარული ლიტერატურით, ან ისტორიული ნარკვევებით, შიგნისა და მომდევნო თაობას კი სხვა ინტერესები გაუჩნდათ და ამიტომ მათთვის აღარაა საჭირო ის წიგნები, სხვებზე ან სარდაფში აქვთ მიყრილი. ასე და ამრიგად იკარგება და იღუპება არა ერთი შესანიშნავი ძველი გამოცემა.

უნდა ვილონოთ რაიმე, რომ მეცოდრ ნიადაგზე დადგეს ჩვენში ბუკინისტური წიგნებით ვაჭრობა. ეს საქმე რომ დიდი ყურადღების ღირსია, აქვს აღსატურებენ თუნდაც მოსკოვის და ლენინგრადის მაგალითები, სადაც ბევრი ბუკინისტური მალაზია არსებობს და რომლისადმი ინტერესი ძალიან დიდია მოსახლეობაში.

მარცხნიდან: წიგნის გამყიდველი თამარ ჩოხელი, მოსწავლე ნანული ფოცხერაშვილი და ლარისა უვანია (მალაზიის გამგე).



(დასასრული)

კაზაკი ცხენებიდან გადმოყარეს და მაგრად მობეგვეს.

1905 წლის სექტემბერში კავკასიის მეფისნაცვალმა რევოლუციური მოძრაობის აღმოფხვრის მიზნით გურიის ბევრ სოფელში ჩააყენა ეგზეკუცია. ეს ამბავი უმალ მოედო მთელ საქართველოს. როგორც ავტორი მოგვითხრობს, კავკასიის მეფისნაცვალს წარუდგა გარეყახეთის იგრიის ხეობის სასოფლო თემების გლეხთა დეპუტაცია, რომელსაც ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე იოსებ იმედაშვილი ხელმძღვანელობდა: დეპუტაციამ წამოაყენა მოთხოვნა — ან გამოიყვანეთ ეგზეკუცია გურიიდან, ან საქართველოს მთელი გლეხობა აჯანყდებოდნენ.

გლეხთა დეპუტაცია, — ნათქვამია წიგნში, — მეფისნაცვლის სასახლას წინ მოაწყობდნენ დემონსტრაციას.


წიგნის დასკვნით ნაწილში ავტორი აღნიშნავს, რომ „რევოლუცია საქართველოში მხოლოდ დროებით დამარცხდა... ქართველი გლეხობა დაუტოვებდა თავის რუსი თანამომკვებების ახალ სიგნალს და ხელახლად აღმართავენ მრისხანე აჯანყების დროშას. საქართველოს გლეხობას ღრმად სწამს, რომ მშრომელი ხალხი, ბოლოს და ბოლოს, მოიპოვებს გამარჯვებას“.

ა. პ. პოპლესკი, რომლის სტამბაშიც დაიბეჭდა აღნიშნული წიგნი, პირველი დაკითხვის დროს აჩვენებდა, რომ ეს ნაშრომი მართლაც დაიბეჭდა მის სტამბაში, 1906 წლის დასაწყისში; დაბეჭდვის ნება დართო ქ. როსტოვის ცენზურამ. ქ. როსტოვის ცენზურას 1905 წლის 5 სექტემბერს თარიღით მართლაც გაუცია ნებართვა წიგნზე, რომლის სათაური ყოფილა „საქართველოს გლეხთა მოძრაობა“, წიგნი კი დაიბეჭდა სათაურით „როგორ იბრძვიან ქართველი გლეხები თავისუფლებისათვის“.

დაბეჭდილი ტირაჟი, 25 ათასი ეგზემპლარი ჩაბარდა გამომცემლობა „მოლოდაია როსიას“ მთავარ საწყობს; ცენზურის კომიტეტის მასალებში აღნიშნულია, რომ წიგნი რევოლუციონერებმა სასწრაფოდ გააგრძელეს მთელ რუსეთში. მეფის მთავრობამ ასეთი „წინადადებაებისათვის“ ქ. როსტოვის ცენზორი მოხსნა სამსახურიდან, გამომცემლები კი, მიუხედავად დიდი საგამომძიებლო საქმის შექმნისა, განათავისუფლეს პასუხისმგებლობიდან, რადგან მათ წიგნის გამოცემის თაობაზე ცენზორის ნებართვა მიღებული ჰქონდათ.

ასეთია ამ წიგნის ისტორია. ბოლოს, ორიოდე სიტყვა გვინდა ვთქვათ ავტორის ვინაობაზე. შ. გორცევი, ჩვენი აზრით, ფსევდონიმი უნდა იყოს. შორს არ ვიჭნებთ ჰემპარტებისაგან, თუ ვივარაუდებთ, რომ წიგნის ავტორი ქართველია, ის ძლიერ კარგად იცნობს ქართულ ყოფას და მთელ იმდროინდელ ვითარებას. ეტყობა, რომ ავტორი თვითონ იყო მონაწილე რევოლუციური ბრძოლებისა. შემდგომი კვლევა-ძიება ალბათ ნათელს მოჰფენს ამ წიგნის ავტორის ვინაობას.

შალვა კობიძე



# ჩარხებრ მბრუნავი ლექსი

დავით კობიძე

გ. ტაბიძის სალექსო ფორმებს შორის გვხვდება „ჩარხებრ მბრუნავი ლექსი“. ეს საინტერესოა, რადგან ქართული ლიტერატურის აღორძინების პერიოდის თვალსაჩინო პოეტების — არჩილისა (1647-1713) და ვახტანგის (1675-1737) შემდეგ „წრე ლექსი“, თუ „ჩარხებრ მბრუნავი ლექსი“ არავის უწერია.

ჩარხებრ მბრუნავი ლექსები დამახასიათებელია აღმოსავლური და კერძოდ სპარსული პოეზიისათვის. ქართველ პოეტებს სალექსო ფორმების ეს სახეობა სპარსულიდან უნდა ჰქონდეთ შეთვისებული.

სპარსულ-ქართული მასალების ანალიზი გარწმუნებს, რომ „ჩარხ ლექსებს“ გარკვეული დანიშნულება ჰქონდა; იგი, როგორც ჩანს, გამოყენებული იყო სალექსო საზომებისა და რიტმის შესასწავლად, აღებული საზომის ყველა ვარიანტის შესათვისებლად. ამიტომაც, რომ ქართულ „ჩარხ ლექსებში“ (ვერც სპარსული დაიკვებებს ამ თვალსაზრისით) რაიმე გარკვეული აზრი არ ამოიკითხება. მაგალითად, არჩილის „ჩარხებრ მბრუნავი ლექსის“ სალექსო სტრიქონია:

ამოებასა იგავით ასოთა შენობს მოესო.

იგი თექვსმეტ მარცვალს შეიცავს; მარცვალთა განლაგების სქემა ასეთია: 5+3+3+2+3, მაგრამ მეორე ვარიანტში:

მოესო ამოებასა იგავით ასოთა შენობს,

იგი ასეთ სახეს ღებულობს: 3+5+3+3+2.

სიტყვათა გადასმით ერთი და იგივე საზომის სხვადასხვა ვარიანტი მიიღება. ყოველი ვარიანტი, მსგავსად ბუნებრივი ლექსისა, ოთხჯერ მეორდება. ეს იმიტომ ხდება, რომ მსმენელმა კარგად აღიქვას ესა თუ ის სალექსო საზომი და მისი რიტმი, მათი ერთმანეთისაგან განსხვავება შესძლოს.

ვახტანგის „ჩარხებრ მბრუნავი ლექსიც“ თექვსმეტმარცვლოვანია:

იმბატა ასვით ასეთი, ითესა თავსა ატამი და სხვ.

მარცვალთა განლაგება აქ შემდეგ სქემას გვაძლევს: 3+2+3+3+2+3, მაგრამ აქ არჩილისაგან განსხვავებით „ჩარხი ლექსის“ სხვა სახეობა გვაქვს: მისი სტრიქონის პირველი ნახევარი (იმბატა ასვით ასეთი), მეორე ნახევრის (ითესა თავსა ატამი) უკუღმა წაკითხულ სახეს წარმოადგენს. ამავე დროს, მთელი სტრიქონის უკუღმა წაკითხვით ისევ იგივე წაღმა წაკითხული სტრიქონი მიიღება.

ასეთი სახის პოეტური ვარიანტობანი როგორც ქართულ, ისე სპარსულ პოეზიაში საზოგადოებრივი ცხოვრების მაჩვენებლისაგან შორს იდგა; მით ლიტერატურული წრეების ძალიან მცირე ნაწილი თუ იყო დაინტერესებული; იგი არასოდეს არ გამოდიოდა ამა თუ იმ ხანის პოეტური შემოქმედების დონის განმსაზღვრელად, თუმცა მას, როგორც აღნიშნა, გარკვეული ფუნქცია გააჩნდა, რაც ძირითადად საზომის, რითმისა და რიტმისადმი ყურადღების გამახვილებაში გამოიხატებოდა.

გ. ტაბიძის ლექსი „აი, რა მზის სიზმარია“ ჩარხებრ მბრუნავი ლექსი ვახლავთ:

აი, რა მზის სიზმარია,  
აირევი, ივერია...  
აი დროშა, აშორდია,  
აერების სიბერია.

ზოგ გამოცემაში (მაგალითად: გ. ტაბიძე, რჩეული, თბილისი, 1944. გვ. 261) სიტყვა „აერების“ ჰ-ს დარტვით იკითხება (პაერების). ძველსა და აღორძინების ხანის ძეგლებში სიტყვა „პაერის“ (ბერძ. აირ) პარალელურად აერიც გვხვდება (იმავე მნიშვნელობით). ლექსის ფორმა მოითხოვს, რომ აქ „აერები“ წავიკითხოთ და იგი სივრცეებად გავიგოთ. აქედმითერ გამოცემაში, რასაც პოეტის ხელნაწერებისა და ბეჭდური ტექსტების შესწავლის საფუძველზე რუსთველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი ანხორციელებს, იკითხება აერების (ტომი II, გვ. 239), რაც სწორია.

წარმოდგენილი ლექსი რვაშარკვლოვანია, იგი ოთხი სტრიქონისაგან შედგება.

თუ ჩვენ ამ ლექსს დავაკვირდებით, ცხადი გახდება, რომ ყოველი მისი სტრიქონი შუაზეა გაყოფილი, რომლის პირველი ნახევარი მეორე ნახევრის შებრუნებული წაკითხვით მიიღება. ასე, მაგალითად, ზომის თვალსაზრისით პირველი სტრიქონის მეორე ნახევარს სიტყვა „სიზმარია“ წარმოადგენს. იგი რომ უკუღმა წავიკითხოთ, მივიღებთ სიტყვებს „აი, რა მზის“, რაც აღნიშნული სტრიქონის პირველი ნახევარია. ასევე მომდევნო სტრიქონის მეორე ნახევრის „ივერია“ სიტყვის უკუღმა წაკითხვით მიიღება ამ სტრიქონის პირველი ნახევარი: „აირევი“, მესამე და მეოთხე სტრიქონებიც ამავე პრინციპითაა აგებული: „აშორდას“ უკუღმა წაკითხვით „აი დროშა“ მიიღება, ხოლო „სიბერია“ სიტყვისაგან „აერების“.

აქედან ბუნებრივია, რომ მთელი ლექსის ყოველი სტრიქონის უკუღმა წაკითხვით წაღმა წაკითხული სტრიქონი მიიღება. ასე, მაგალითად, სტრიქონი: „აი, რა მზის სიზმარია“, რომ უკუღმა წავიკითხოთ, ისევ იმავე სტრიქონს მივიღებთ. ასევე შედგენილი დანარჩენი სტრიქონებიც.

აღნიშნული ლექსი 1927 წელსაა დაწერილი. იგი იმავე წელსაა გამოქვეყნებული (გ. ტაბიძე, ლექსები, 1927, გვ. 20). აკადემიური გამოცემის შენიშვნებისა და ვარიანტების შემდგენელი იოსებ ლორთქიფანიძე აღნიშნავს (გვ. 450), რომ ხელნაწერში ამ ლექსს კიდევ ოთხი სტრიქონი ჰქონია მიმატებული:

ალის დავა, ავად სილა,  
აი, რა დრო ორდარია;  
ოდნავ ისევ ისევ ვანდო,  
აი, რა მზის სიზმარია.

მაგრამ იგი პოეტს გადაუხაზავს. ალბათ იმიტომ, რომ ეს სტრიქონები რიგიანად გამართული არ არის. მესამე სტრიქონი წესს ღალატობს: ის ე-ს ნაცვლად ვესი უნდა იკითხებოდეს. თანაც მთელი ეს ნაწილი მეტისმეტად ბუნდოვანია, გარემოება, რაც მისი მოსპობის მიზეზი გამხდარა.

გ. ტაბიძის ლექსის ეს სახე უფრო ვახტანგის „ჩარხ ლექსს“ ენათესავება, ვიდრე არჩილისას, მაგრამ ორივესაგან განსხვავებით, იგი რითმობანი ლექსია და მასში რალაც აზრის ამოკითხვაცაა შესაძლებელი, თუ წინა პოეტების „ჩარხ ლექსებში“ ეს არ ხერხდება.

გ. ტაბიძის შემოქმედებაში აღმოსავლური ელემენტები შეჭრილია ძველი ქართული პოეზიიდან, რომელსაც ჩვენი სასიქადლო პოეტი კარგად იცნობდა. მის ლექსებს შორის „ჩარხებრ მბრუნავი ლექსის“ არსებობა, შეიძლება ითქვას, დიდი პოეტის მიერ ძველი, მივწყებული სალექსო ფორმის გახსენებას წარმოადგენს.



თურმე იმისი უკანასკნელი ზაფხული დაშვარდა...

ოქროყანაში ვეწვიეთ სიმონ ჩიქოვანსა. მშვენიერი აგარაკი დაეთმოთ, ფართო აივანი გადაპყურებდა ლამაზ გარემოსა. ალტაცება ვთქვით, ან კმაყ ვერ მოვასწარი, — ის იყო წამოგვცდა და ენაზე ვიკბინეთ, — ის ხომ ველარაფერსა ჰხედავდა, ამით ხომ სინანულს გავუშვებდით; ენაზე ვიკბინეთ და ველარაფერი ვაწამეთ უხერხულობის დასაფარადა. ის მიგვიხვდა, თუმცა რა თქმა უნდა მიგვიხვდებოდა, — მიგვიხვდა კი არა, შეგვამჩნია, დაინახა მცირედი ლანდის შეთამაშებაცა ჩვენს სახეზე, ასე მგონია, დაინახა-მეთქი, რადგან მაშინვე ალტაცება გამოესახა იმისთვის უკვე დაბინდულ, მაგრამ სხვათათვის, გარეშეთათვის ისევ ნათელ თვალზე; ალტაცება გამოესახა, მოაჩირს გადარეკლად და ძველებური ხალისით ალაპარაკდა ოქროყანასა და კოჭრის, წყნეთისა თუ ბეთანის სილამაზეზე, ჩვენი ქვეყნის სილამაზეზე. და გაგვიარა იმ მცირედმა უხერხულობამ, — ის ხომ ჰხედავდა, უფრო გამახვილებოდა ისედაც საოცარი მესხერება, ჰხედავდა ისე, რაც ერთხელ ეხილა, რაც არ ეხილა, იმისი დანახვაზე შეეძლო, შეეძლო განჭვრეტა და ალტაცება ისევე, ნამდვილად ისევე, ყოველთვის რომ სჩვეოდა.

ალტაცება მართლაც უჩვეულო იცოდა, აღიტაცებდა კარგი ლექსი, კარგი მოთხრობა, კარგი ქანდაკება თუ მუსიკალური ნაწარმოები, აღიტაცებდა და ყველას ახარებდა, ყველასთან გამოსთქვამდა დიდ სიხარულსა, გამოსთქვამდა ღრმა ცოდნითა, დაჰაქრებელი და ნათელი ხილვითა. მაგრამ ხელოვნების ქმნილება, მინც ხელოვნების ქმნილებაა და პოეტურ სულში ის ემოციას გამოიწვევდა, რა თქმა უნდა, ოღონდ მისი ალტაცების თავისებურება თუ უცნაურობა ის იყო, რომ შეეძლო განხარებულყოფი თვით უმნიშვნელო რამითაცა, სილამაზე, სიმშვენიერე დაინახა თვით ჩვეულებრივსა თუ უმნიშვნელო საგნებში, ერთი შეხედვით ჩვეულებრივსა თუ უმნიშვნელოში; შეეძლო განხარებულყოფი და საათობით ხელში სტეროდო ნაგვიანევი ატამი, ხელში სტეროდო იხე ფრთხილად, გინგლიც არ გადაეცლია, ოდნავაც არ გადაეცლია. ეს ბუნების სიყვარული ვახლდათ და ხილვა იყო მშვენიერებისა ბუნების ნაყოფში; ეს ხილვა იყო და მგრძობიარე განცდა, ეს ხილვა იყო და ფილოსოფიური ჰერეტა, რაც ასე ნათლად, ასე მკაფიოდ ფეთქავს იმის პოეზიაში.

ალტაცება მართლაც უჩვეულო იცოდა, შეძრწუნებაც იცოდა უტყარი, უჩვეულო და უტყარი; ალტაცება გადაუჭრებოდა, კიდევ უფრო გაუფერმკრთალებოდა ისედაც ფერმკრთალი სახე და ძლივს შესამჩნევი თრთოლვით გამოსთქვამდა ძრწოლასა, შიშსა, როცა საამისო რამ გაისმოდა, საამისო რამ საბაბი გაჩნდებოდა ჩვენს სალიტერატურო თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მაგრამ ყოფილა შემთხვევა, როცა ჰამონგრეულ ტაძარსაც აუტანია ძრწოლითა. ჩამოგრეული თუ ჩაშლილი ცინიკატების მეტი რა არის ჩვენს ქვეყანაში? უამრავია, უთვალავია და ყველა ეხილა,

ყველა იცოდა. ფხვით მოველო მთლად საქართველო, შეესწავლა უდალდისი არქიტექტურული ძეგლებიცა და მთებში ჩაბნეული უბრალო თუ უმნიშვნელო სამლოცველონიცა, მხოლოდ ერთი ტაძარი არ ენახა; იცოდა, დიდებული რამ ტაძარი რომ იყო, და ნანობდა, რომ არ ენახა; თანაც ხარობდა, რადაც თავისებური სიხარულითა ხარობდა, რომ კიდევ გადარჩენოდა სანახავი რამ, კიდევ განიცდიდა პირველი ხილვის სიხარულსა. ეს იყო კუმურდოს ტაძარი, დიდხანს ელოლიავებოდა შორიდანა, ბევრჯერ ამბობდა არ მინახავსო და ტყბებოდა, როცა ამბობდა, არ მინახავსო. და აი მოვხვდით იქა, წვიმიან ამინდში მოვხვდით. ზეცამ ცოტა გადაიარა და შორიდან მოგვჩვენა ხელთუქმნელი რამ, დიდებული რამ ნაწარმოები, მოგვჩვენა და ჩავვიძლია ან გამოგვიღანდა წვიმის საცერში; თითქოს განგებ გვიწვივდა, გვაქვებდა განგება, რომ უფრო ტყბილი ყოფილიყო განცდა, უფრო აღმტაცი, აღმაფრთოვანებელი ასე იყო, ასეც იზრდებოდა. მაგრამ შევიარეთ კარი ტაძრისა და ვერც შევიარეთ, მთელი გუმბათი ჩამოქცეულიყო, მთელი გუმბათი ერთბაშად თუ ერთპირიანად დაწვრილებულიყო ძირსა... ჩამოქცეული თუ ჩამოშლილი ტაძრების მეტი რა ეხილა, მაგრამ ეს სხვა იყო, ასე ერთპირიანად მორღვეული გუმბათი სხვა იყო, გუმბათი მაღალი, ატაცებული კედლებისა... და შეძრწუნდა, შეძრწუნდა ისე, თითქოს ალტაცების ნატამალიც არა ჰქონდა ორიოდე წუთის წინაო, ასეთი უშუალობა მხოლოდ პოეტურმა სულმა იცის და ძველია ისე, ვითარცა პოეზია, ძველია და შეუბღალველი.

იყო უშუალო და ძრწოლაც ატაცებით იცოდა. გაიტაცებდა ყოველივე, რაც მშვენიერია, გაიტაცებდა ძრწოლაცა, თუ ავბედითობა მისტანებოდა მშვენიერსა; გაიტაცებდა კამათი გონების ძალით, ცოდნითა თუ გამოცდილებით თავის ტოლებთანაცა და ჭერ უმწიფარი აზრების პატრონებთანაცა, იმათაც ისევე ეკამათებოდა, როგორც ტოლწორებსა, უსახუთებდა, უმტკიცებდა, არწმუნებდა, ისეთი თავზიანობითა, მორიდებითა და პატივისცემითა, არავის გაჰყვებოდა გრძობა შეურაცხყოფისა; არა, არ გაჰყვებოდა. რა თქმა უნდა, შეუფერებელი იყო ასეთი რამ მისი ბუნებისთვისა და თანაც, კიდევ ისა საგულისხმო, რომ სადაც უნდა წამოწყებულიყო კამათი, ვისაც უნდა წამოეწყო, რაოდენ საწინააღმდეგო აზრაც უნდა გამოეთქვა, როგორც უნდა გახელებულიყო, მინც მოსწონდა ისა, პატივისცემა და სიყვარული უჩნდებოდა მისადმი, რადგან სახაზს აძლევდა აყოლოდა თავის სტიქიასა, — დიხუსხსა ხომ იმისი სტიქია იყო. იცოდა ბევრი რამ, ბევრს შეხვედროდა და კამათში ხშირად მოჰქონდა ისეთი მაგალითები, რაც დასახუთებაც იყო და მოგონებაც, მოგონება ოციანი და ოცდაათიანი წლების სალიტერატურო მოვლენებისა, ჩვენი თუ რუსეთისა, — ისიც იცოდა შინაურულად; ვამბობ იმას, რაც შინაურულად იცოდა, რაც ჭერ არ დაწერილა და არ განზოგადებულა; რა თქმა უნდა, დაიწერება

თანდათანობითა, ყველასა და ყველაფერს მიეცემა თავისი სალიტერატურო ცხოვრება, ყველა და ყველაფერი თავის ადგილს დაიჭერს ჩვენი ლიტერატურისა თუ ცხოვრების ისტორიაში, მაგრამ რაღაცა მინც დაგვეკარგება, დაგვეკარგება ბევრი ამბავი, რაც მხოლოდ იმას ახსოვდა; ზოგ ამბავსა თუ მოვლენას სხვანიც გაიხსენებენ, მაგრამ დაგვეკარგება იმისი თვალსაზრისი, იმისებური შეფასება. მართლაც მისი სალიტერატურო მოსაზრებანი შეკრებილია ერთ დიდ ტომად, მაგრამ დასანანი, რომ არ დაგვრჩა ასეთივე ტომი მემუარებისა. ერთხელ გვინდოდა, შეგვეპარებინა როგორმე, დაეწერა მემუარები, მაგრამ მაშინ უკვე ავადმყოფობდა და თქმა ძნელი იყო, ძალიან ძნელი.

მერე როგორ ავადმყოფობდა როგორ ეღაგებოდა ეს იყო მართლაც დავა, პეჭრობა იყო, კამათი იყო სიცოცხლისთვისა. გორში რომ გვეწვია სამოცი წლისთავის აღსანიშნავ სელამოზე, მაშინ ჭერ კიდევ არ ვიცოდით თუ რა ემართებოდა მის თვალებსა, არ ვიცოდით და ვერც ვერას მივხვდით, როცა წამოიწყო გორისადმი მიძღვნილი ლექსი, — „რა კარგია შვის ჩახვლისას გორი, ურმულივით ახლოვდება შედამება...“ — წამოიწყო და მომდევნო სტრიქონის გასახსენებლად წიგნი მოიშველია, მოიშველია, მაგრამ ვეღარ მოიშველია, ვერ გაარჩია; ამოიღო სათვალეები ჭერ ერთი, მერე მეორე, — ვერა, ვეღარ გაარჩია. დარბაზიდან მიავხვედრეს სტრიქონი, გაიხსენა, გავიდა ბოლომდისა. სხვა ლექსი აღარ წაუკითხავს, შეწუხებული თუ მოდუნებული მიეტანა საქმისა. ახალი ნავადმყოფარი იყო და ავადმყოფობას მივაწერეთ. მაშინ ჭერ კიდევ არ ვიცოდით თუ რა ემართებოდა იმის თვალებსა, თვითონ იცოდა, რა თქმა უნდა, იცოდა და ებრძოდა, ებრძოდა ჩუშადა, გასაოცარი სიმტკიცითა და შეუპოვრობითა; ებრძოდა და თანაც ფარული სიხარბით უნდოდა ერთხელ კიდევ ენახა ყველაფერი, ერთხელ კიდევ მოველო, ფხვით მოველო ამერ-იმერი, ერთხელ კიდევ დამტკბარყო ჩვენი ქვეყნის სილამაზითა. მაშინაც ამიტომ გვეწვია, ამიტომაც დადიოდა ქართლის ველებზე და დუდუნებდა, — კარგია, მიყვარს, ჩემს ბავშვობას, ჩემს კუთხეს მაგონებსო. ამიტომაც დადიოდა დიდხანს ქართლის ველებზე და ყოველ ახლად გაგონილ სიტყვას ისე ეფერებოდა, თითქოს ხელთ უპყრია, როგორც მარგალიტი მარგალიტის მაძიებელსა, ბევრი ძებნის შემდეგ რომ უბოვნიათ.

მაშინ ჭერ კიდევ არ ვიცოდით... ხოლო მაშინ უკვე ვიცოდით, ოქროყანას რომ ვეწვიეთ, ვიცოდით და ვერიდებოდით ბუნების სილამაზეზე ლაპარაკსა; ის არ ერიდებოდა, საოცარი სიმდიერითა ჰფარავდა უმწავეს განცდასა, ლაპარაკობდა ცოცხლად, ხალისიანად, სწორედ ბუნების სილამაზეზე ლაპარაკობდა, ბუნების მშვენიერებაზე, მარადიულ მშვენიერებაზე, ლაპარაკობდა და შესცქეროდა, ჰხედავდა ყოველივეს ნათლად, მკაფიოდ, ჰხედავდა და სჭვრეტდა დაუშრეტელი გონების თვალთა.

## ჩემი შვებულების ამბავი

მინდა ჭერ ჩემი თავი გაგაცნოთ. ქარისკაცი ვარ, ლენტეხის რაიონიდან. ვმსახურობ ქ. ოდესაში. ამას წინათ შვებულება მომცეს და შინ წამოვედი. თბილისის აეროდრომზე სადგურისაკენ მიმავალ ავტობუსში ჩავჯექი. ერთ მხარეს ახალგაზრდა ვალები და ქალიშვილები იხდნენ. ავტობუსში შესვლისას თავაწიანად მივესალმე ყველას; ორი წელია, რაც ოდესაში ვარ და ქართულ ლაპარაკს მონატრებული ვიყავ. დავჯექი თუ არა, იმ ახალგაზრდებმა გადმომიხედეს, რაღაც გადუქრულს ერთმანეთს და გულიანი სიცილი აუტყდათ. რას იცნობან? — გავიფიქრე და მთელი ჩემი ტანსაცმელი შევათვალიერე, ყველაფერი წესრიგში იყო.

— რა ღირს, ბიჭო, ეს ჩექმები? — უცებ შეიკითხა ერთი მათგანი.  
 — თორმეტი მანეთი, — გულუბრყვილად ვუპასუხე.  
 — თუ ძმა ხარ, მოგვედე, — წამოიძახა ახლა მეორემ და ყელი გამოიწია. ამას ისეთი სიცილ-ხარხარი მოჰყვა, თითქმის იმ ბიჭს რაღაც საოცარი ხუმრობა ეთქვა.

— შევარცხვინე შენი მოკასინები, განსაკუთრებით ამ სიცხეში, — ჩაილაპარაკა ახლა ქალიშვილმა.  
 — სანაძღვრის ვლებ, რომ ამას ჩექმებს შიგნითაც თბილად ეცმება! — ამ სიტყვებზე ისევ ხარხარი და კისკისი ატყდა.

— მა, ნუ ჯანჭლობ, მოგვედი თუ არა? — კვლავ არ ისვენებს ის პირველი, ვინც ყველაფერი ეს წამოიწყო. მინდა რაღაც ვუთხრა, მეც მწარე პასუხი გავცე, მაგრამ ხუდ დავიხენი, სიტყვა ყელში გამეჩხირა, მხოლოდ ეს მოვახერხე მეთქვა — არა ვუიდი.

— იქნებ საშუალოდ მაინც გაიმეტო, მივიტანო მუზეუმში და მივადებინებთ — არ ცხრება ის ჭაბუკი. მე ყურადღებას აღარ ვაქცევ, სხვა რა ვქნა — ჩხუბს ხომ ვერ ავტებ ავტობუსში, ისიც, შინ ჩამოსვლის პირველსავე დღეს. როგორც იყო, მივედით სადგურამდე. ერთი ხული მქონდა ვიდრე იქაურობას მოვშორდებოდი, ავტობუსის კართან იმ ბიჭმა ჯიბიდან სამშაურიანი ამოიღო და გამომიწოდა:

— ამა, აიღე და ვიღაცას გააწმენდინე ეს ჩექმები, თორემ თბილისელებს სადგურის პრილა იატაკს წაგვიხდენ!

ჩექმები ოდესიდან წამოსვლისას საგულდაგულოდ გავწმინდე, თვითმფრინავში ამა რა მტკერი დავდებოდათ! მაგრამ ეს ჭაბუკი შარზე იყო, და თავიდანვე რომ არაფერი ვუთხარი, სულ გათავხედდა. ახლა კი ჩამოვართვი ის ფული და ზედ შუბლზე მივახალღე. წამოიჭრენ რაინდები და გამოიწიეს.

მგზავრები უმალ ჩადგნენ ჩვენს შორის და გავაცალკევეს. სულ მალე ისინი თვალს მიეფარნენ, ოღონდ კიდევ ერთხელ მობრუნდა ის ბიჭი და მომაძახა:

— ჩექმებიანო კატავ, ფრთხილად, არსად გადაგვეყარო!

მგზავრთა შორის მათი ნაცნობიც აღმოჩნდა. თურმე ერთი რეისით ჩამოსულიყვნენ. სწორედ იმან დამაწყურა — დანებე თავი, შვილო, ეგენი თვითმფრინავშიც ასე იქცეოდნენ!

ახლა კი მინდა მათ ორიოდ სიტყვა მოვახსენო:

ქართველი კაციც და ქალიც მთელ მსოფლიოშია განთქმული თავისი კულტურითა და სიღარიბისილით; ეს ჩვენ უძველესი დროიდან მოგვადევს. მაშ თქვენ რათ იქცევით ასე? სად ისწავლით ასეთი ზრდილობა? რათ არცხვენთ ჩვენს მშვენიერ ახალგაზრდობას — მუდამ გამარჯეს, დაუცხრომელს, ხალიხიანს, გულღიას და გულკეთილს მე არ შესმის რა სულიერი საშყარო უნდა ჰქონდეს იმ ადამიანს, ვისაც ჩექმების დანახავზე ეციენება? მე არც დავწორდი ამ წერილს, მაგრამ ვეღარ მოვიერიე გულისტკივილის შორიდან ჩამოსულს რათ უნდა მხვდებოდეს ჩემს მიწაზე ჩემივე ტოლი დაცივით, ვინებითა და ჩხუბით?

თუ ამ უტიფრებს სირცხვილის გრძნობის ნატამალი მაინც შერჩენიათ, ამას რომ წაიკითხავენ, ეგებ გონს მოგვონ. თუ არა და, რა ვქნა, მე მეტი არაფერი შემიძლიან. თავიანთმა მშობლებმა ვერ შეძლეს მათი აღზრდა, და მე რას გავაწყობ?

ნოდარ ლიპარტიანი  
 ქ. ოდესა.

## ვინც მუდამ ეძებს

მას გაუმარჯოს, მას, ვისაც სჭერა ჩვენი წინსვლის და ჩვენი შენების; ვინც მუდამ ეძებს, ვინც მუდამ ღიღავს და სწამს ამ ქვეყნად ბედნიერების. მას გაუმარჯოს — ვის მართლა სჭერა საკუთარ ხმის და საკუთარ ციცილის — ვინ უკვე თქვა და ვინც კვლავ უნდა თქვას ჩვენი ეპოქის სადარი ლექსი.

## გარეუბანში

არ ვიცი ასე რად მიყვარს შენი მუდრო ბინა და პატარა ბაღი, ვერ წარმოიდგენ თუ როგორ მშველი დიდი ქალაქის ხმაურით დალილს. აწეწილ ვნებებს, მოთენილ სხეულს, შენი სიმშვიდის ჩრდილში ვასვენებ და ოცნებებში სულს გადასხვარულს წინ გადაგიშლი და შენ ვაჩვენებ... ახლა მარტო ხარ, ვიცი მარტო ხარ და მაინც ვჩქარობ არვინ დამასწროს... შენთან ბაასი, შენთან გართობა არ მწყურებია ასე არასდროს. არ ვიცი ასე რად მიყვარს შენი მუდრო ბინა და პატარა ბაღი, ვერ წარმოიდგენ თუ როგორ მშველი დიდი ქალაქის ხმაურით დალილს...

## ნახი ჭელია

## ფშაურ ბილიკზე

ფშაურ ბილიკზე მივხედავოლო, და ჩემს ოცნებას არა აქვს ზღვარი, ტუე სიყვარულით სხვაგვარ შრილებს, მწვანე ფოთლებში თარეშობს ქარი.

ბერმუხამ მიცნო, მეძახის უხმოდ, წყაროსთან სულ სხვა ვერხვები დგანან, ტირიფი ჩუმად, სხვა ტირიფს უხმობს, და მთებიც თითქმის ძველ მთებს არ ჰგვანან.

მივდეგ ამ ნაცნობ, ფშაურ ნაკვალევს, შესალმებიან მწვანე ხეებში, მთების ტრფობა მე რომ მაწვალეხს, ჭერ უთქმელი და გაუმხეილი.

ოქროსფერ მანვად იღვრება მზე შენ, ტყეში კი — ფრინველთ ჩუმი გალობა, და მათ უნაწეს, ჭადონსურ ხმებში, მესმის ბუნების იღუმალობა.

ბაგემ კი, ბაგემ, სათქმელი გულის, მაინც ვერ უთხრა, ამ ტოტებს ხეთა, და, მერამდენედ უჩუმად თქმული, ფიჭვი, ოცნება, ჩამოიღვენთა.


აქ უნდა კაცმა იცოდე ენა, ამ მაღალ მთების და ჩანჩქერების, აქ უნდა უფრთოდ შეიძლო ფრენა და ზეცას მიწვედ უნდა ხელებით.

დღეს ისევ მივდეგ ჭიხვთა ნაკვალევს, შესალმებიან ირგვლივ ხეებში, აქ მათა ტრფობა უფრო მაწვალეხს, ვით სიყვარული გაუმხეილი!










სოფელი სნო (ფერადი ლინოგრაფიურა).

მესტია (ფერადი ლინოგრაფიურა)



## ს. კაშხიანი

ძველი თბილისი (ლინოგრაფიურა)





კანადა. მონრეალი. მსოფლიო ჯა-  
მოფენა „ექსპო-67“  
მნახველთა უველაზე დიდი რიგა  
დგას საბჭოთა პავილიონთან. შესა-  
სვლელთან. უზარმაზარ უროსა და  
ნამგალზე წარწერილია „უველაუერო  
ადამიანისათვის. უველაუერი მისი  
სიკეთისათვის“.

საბჭოთა პავილიონში. რომელიც  
საბჭოთა ხელისუფლების 50 წლის  
მანძილზე სსრ კავშირის მოძვე ხალ-  
ხების მიღწევათა ჩვენებას ეძღვნება,  
საპატიო ადგილი უჭირავს საქართვე-  
ლოს ექსპონატებს.

შეუძლებელია ჩამოთვალოთ უველა-  
ან თუნდაც მხოლოდ უმნიშვნელოვა-  
ნესი ექსპონატები — ისინი წარმოდ-  
გენილია უველგან. უზარმაზარი პავი-  
ლიონის უველა დარბაზში — მრეწვე-  
ლობისა და სოფლის მეურნეობის.  
ჩარხმშენებლობისა და კოსმოსის ათ-  
ვისების, ატომური ენერჯის გამოუყ-  
ენებისა და სახალხო განათლების. ქა-  
ლაქომშენებლობის. ბუნებრივი რე-  
სურსების განუოფილებებში და, რა  
თქმა უნდა, ჯანმრთელობის დაცვის  
განუოფილებებში. აქ მუდამ ზევრი  
დამთავლიერებელია. ისინი ალტაცე-  
ბით ათავლიერებენ შავი ზღვის სანა-  
პიროს მსოფლიოში ცნობილი კურო-  
რტების მკეტებსა და ფოტოვიტრი-  
ნებს.

მნახველთა თვალს იტაცებს ქარ-  
თული ფერწერა და გრაფიკა. ქედუ-  
რი ხელოვნება და ქანდაკება.

ოქტომბრის შუა რიცხვებში მონ-  
რეალის გამოფენაზე ჩავიდა საქარ-  
თელოს დელეგაცია რესპუბლიკის მი-  
ნისტრთა საბჭოს თავჯდომარის  
გ. დ. ჯავახიშვილის მეთაურობით. იმ  
დღეებში საბჭოთა პავილიონში მას-  
პინძლობდა საბჭოთა საქართველო.  
იმავე ხანებში აქ მოეწყო ქართული  
ხელოვნების ოსტატთა კონცერტები,  
რომლებმაც მნახველებზე დაუიწყა-  
რი შობაბეჭდილება მოახდინეს.

საერთოდ, ეს გამოფენა ნათლად  
გვიჩვენებს, თუ რა მაღალ მწვერვა-  
ლებს მიაღწიეს ცხოვრების უველა  
დარგში საბჭოთა კავშირის ხალხებმა  
თავიანთი სახელწვანი ნანეარსაუ-  
კუნოვანი ისტორიის მანძილზე.

# ფოტოაქტივობები კანადაში



• • • • •

ქვემოთ გაგაცნობთ ფოტოებს, რო-  
მლებიც გადავიღე მსოფლიო გამო-  
ფენის ტერიტორიაზე, თუ მის ფარგ-  
ლებს გარეთ, კანადის ქალაქების ქუ-  
ჩებში.



მონრეალის მსოფლიო გამოფენას  
საკმაოდ ვრცელი ტერიტორია უჭი-  
რავს. მას ერთბაშად ვერ მოივლი.  
ვისაც ფული აქვს, რესტორნებსა და  
ტავერნებში ისვენებენ, ვისაც არა-  
როგორც შეუძლიათ.  
ამ ქალიშვილებმა კი მზის გული  
აირჩიეს.





თქვენს წინაშეა თეთრი რიქშა. მონ-რეალის გამოგონაზე, სადაც წარმო-დგენილია თანამედროვე ცივილიზა-ციის მიღწევები, შეხვდებით ამ შუა საუკუნეებისდროინდელ „ტრანსპორ-ტსაც“, რომელიც მოდერნიზებულია ველოსიპედის მიმატებით. ეს რიქშე-ბი 50 ცენტის საფასურად მსურველს მოატარებენ მთელი გამოგონის ტე-რიტორიას.



კანადის მოსახლეობის დიდი უმრავ-ლესობა ევროპიდან გადმოსახლე-ბულთა შთამომავალი არიან (ინგ-ლისელები, შოტლანდიელები, ირლან-დიელები, ფრანგები, გერმანელები, სლავები და სხვ.).

ქვეყნის ადრინდელ მოსახლეობას — ინდიელებსა და ესკიმოსებს წარ-თმეული აქვთ ელემენტარული მოქა-ლაქობრივი უფლებანი.

უველა ხალხს ქვეყანაზე თავისი ჩვეულება აქვს, თავისი ნაციონალურ-რი ტრადიციები. ამ სურათზე კანა-დური ქორწილია წარმოდგენილი. ნიფე-დელოფალს წინ უდგანან ხაზე-იმოდ გამოწყობილი ბავშვები. ეს დაახლოებით იმგვარივე ჩვეულებაა, როგორც ჩვენში — პატარძალს ბავშვს რომ ჩაუგორებენ ხოლმე კალ-თაში.



ეს ფოტო ოტავაში გადავიღე. სურ-ათზე გამოჩატული ქალ-ვაფი — შირ-მაიკერები არიან, ვისაც ილფისა და პეტროვის „ერთსართულიანი ამე-რიკა“ წაკითხული აქვს, ეხსომება თუ ვის ეძახიან შირ-მაიკერებს (სიტყვა-სიტყვით ნიშნავს ქვეითად მოხიარუ-ლეს მოკლე მანძილზე). აი ერთი ად-გილი ხსენებული წიგნიდან:

„ვერც კი მოვასწარით გამოცდილ-ბოდით ქალაქ ამარილოს, როცა და-ვინახეთ ახალი შირ-მაიკერი, რომელ-საც ცერი თითი მადლა ჰქონდა აწე-ული. ამერიკაში შირ-მაიკერებს ეძა-ხიან ადამიანებს, რომლებიც ამ ეფს-ტით ვთხოვენ მანქანით წაგვიყვანე-თო. ჩვენ გავჩერეთ მანქანა. შირ-მაიკერმა ხელი ჩამოუშვა, მან გვითხ-რა, რომ მიდის ქალაქ რენაქსში, ჩვენ იქით არ მივდიოდით, მაგრამ სანტა-ფემდე ერთი გზა გვქონდა და შირ-მაიკერი მანქანაში შევიბატოეთ“.

ჩვენს ფოტოზე ჰაბუკს ცერი თი-თი ოდნავ დაბლა აქვს დაშვებული. ეს იმას ნიშნავს — უფასოდ წაგვიყ-ვანეთო.



ამ პატარა ბიჭებს თავი დიდებულ მოაქვთ; რატომაც არა, უკვე ფულს შოულობენ, პაპიროსსაც დიდებივით ეწევიან.



ეს იყო ყველაზე გრძელკაბიანი ქა-ლიშვილი, რომელიც ში ტორონტო-ში ვნახე.





ვისაც როგორ შეუძლია, ისე იბრძვის ლუკმა-პურის საშოვნელად. ეს კაცი ინდიელთა ბელადად ასაღებს თავს, მაგრამ ის არც ჩინგანგუკის შთამომავალია, არც ჰაიავატასი, ეს არც უნკასია, უკანასკნელი მოშიკანი, არც ტოკამაშამონი; იგი გვარად წეს-ტრეკოა, რუსეთიდან გადახვეწილ თეთრგვარდიელთა შთამომავალი.

ძნელია და სახიფათო ბრძოლა ყვითელ პრესასთან. მის პატრონებს მილიონები აქვთ, მათ მხარესაა მთავრობა; მაგრამ კანადელი სტამბის მუშები და მოწინავე უურუნალისტები მაინც იბრძვიან. ტორონტოში ჩვენი ყოფნის დროს გაიფიცნენ სტამბის მუშები, მათ პარტეტის გამოუცხადეს სამ ყველაზე ყვითელ გაზეთს. ქუჩებში დადიოდნენ სტამბის მუშები, რომელთაც გულზე პლაკატები ეკიდათ შემდეგი წარწერებით: „ტორონტო. ას წელიწადში ერთი თუ გამონდება ქალაქი, სადაც სამი ასეთი საზოგადოებრივი გაზეთი გამოდის“. ქვემოთ ხელს აწერდნენ მბეჭდავები და კორესპონდენტები.

სწორედ კანადისა და ამერიკის შეერთებული შტატების საზღვარზეა ეს სახელგანთქმული წყალგარდნილი — ნიაგარა. სახელი, როგორც ფიქრობენ, წარმომდგარია იროკეზული სიტყვიდან — ნიაკარე, რაც დიდ ხმაურს ნიშნავს. წყალი აქ ეცემა 48 მეტრის სიმაღლიდან.

ვინ მოსთვლის რამდენ პოეტსა და პროზაიკოსს აუწერია ნიაგარა, რა ეპითეტით არ შეუძლიათ იგი! მაგრამ მე ამ მწერალთაგან მინდა გავიხსენო მარტო მარკ ტვენი, რომელმაც ეროი მწარე სიტყვა გადაჰკრა იმ ამქარს, რომელსაც მეც ვეკუთვნი. ის წერდა, რომ ნიაგარასთან მუდამ ორ მწკრივად არის ამართული ცოცხალი კედელი ფოტოგრაფებისა, რომლებსაც აპარატები საბრძოლო მზადყოფნაში

აქვთ და ელიან მსხვერპლს, რათა გადაიღონ იგი ნიაგარის დიდებულ ფონზე. ჭერ თურმე არ ყოფილა შემთხვევა, რომ ვინმეს ეს ცოცხალი კედელი გაერღვის.

ეს სტრიქონები მარკ ტვენმა 1869 წელს დაწერა. ერთი საუკუნის შემდეგ, ბუნებრივია, ის კედელი კიდევ უფრო გაზრდილი მეჩვენა.

მე გადავიღე ნიაგარას წყალგარდნილი კანადის მხრიდან. სურათზე, წყალგარდნილს იქით ჩანს ე. წ. თხის კუნძული, რომელიც ნიაგარას ორ ტოტად ჰყოფს. კანადის მხარეს გადმოიფრქვევა წყლის მთელი მასის დაახლოებით მძ პროცენტი. ნიაგარის წყალგარდნილის ენერჯის ამერიკისა და კანადის რამდენიმე მილროდლექტროსადგური იყენებს.



სახტუმროსთან ტურისტების ახალი ჭგუფი მოიყვანა ავტობუსმა. ეს პატარა ბიჭები მაშინვე ჩემოდნებს მიცვიფდნენ — უნდათ რამდენიმე ცენტი იშოვნონ.



ოთარ თურკია

ეურნალ „დროშის“ სპეც. კორ.





# გუნდები და ოსტატები

საფეხბურთო სეზონის მიმოსილვა

## მარკინ მარკინოვი

როდესაც მეთხილამურე ამთავრებს თავის დისტანციას და ესტაფეტას გადასცემს ამხანაგს, რომელიც განაგრძობს რბენას, ის აუცილებლად მოიხედავს უკან და მოიყონებს მთელ განვლილ გზას. მისი შეხსიერების ეკრანზე აღდგება რბოლა ლიბზე, გორაკიდან გორაკზე, მინდორსა და ტყეში, და შეიძლება ისე ნათლად, როგორც ახლა, ვერახოდეს ვერ წარმოადგინოს ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლა, რომელშიც იყო როგორც წარმატება, ისე მარცხიც. ახლა ფეხბურთელებიც. დაამთავრებენ თუ არა მორიგ სეზონს, ისინი გადახედავენ ხოლმე სატურნირო ცხრილში მოთავსებულ ციფრებს; უოველი ეს ციფრი შეტყველებს გამარჯვებაზე ან წაგებაზე, შეტყველებს მკაცრ და შეუპოვარ ბრძოლაზე, რომელსაც ხან ხასისარულო შედეგი მოსდევს და ხან არა. ეს ციფრები განსაზღვრავენ არა მარტო ამა თუ იმ გუნდის ბედ-იღბალს, არამედ, ასე თუ ისე, გავლენას ახდენენ მთელ საბჭოთა ფეხბურთზე, მის მომავალზე. აი, ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ თვალი გადავავლოთ სეზონის ყველა დამახასიათებელ ნიშნებს და განვიხილოთ ყველაზე უფრო ტიპური ფაქტები და მოვლენები.

განვლილი საფეხბურთო სეზონი გარეგნულად მკაფს ყველა წინანდელს, მაგრამ, ამავე დროს, მას ახასიათებს გარკვეული თავისებურებანი. უწინარეს ყოვლისა, ეს დაკავშირებულია ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატთან, რომელმაც ბუნებრივია დიდი კვალი დატოვა მთელი მსოფლიო ფეხბურთის განვითარების ისტორიაში, და კერძოდ ჩვენს ფეხბურთზეც მოახდინა გავლენა. მანამდე, მთელი ათი წლის განმავლობაში ჩვენსკენ მჭროდდნენ სამხრეთის ქარები ლათინური ამერიკის ფეხბურთისა, ათი წელი ვცდილობდით ატყუთვინებინა ბრაზილიური თამაშის ტაქტიკური სისტემა, მაგრამ საბოლოოდ ვერ ავითვისეთ და სხვა გზის ძებნა დავიწყეთ.


ინგლისის ჩემპიონატმა (ისევე, როგორც მანამდე ჩილის ჩემპიონატმა) არ შისცა საფეხბურთო მსოფლიოს არავითარი ახალი სისტემა. მაგრამ გვიჩვენა ახალი სქემა მოთამაშეთა განლაგებისა, გვიჩვენა უფრო ინტენსიური ფეხბურთი.

\* დაწერილია სპეციალურად ჩვენი ჟურნალისათვის. რედ.

თბილისისა და ქუთაისის გუნდების თამაში, მარცხნივ — გ. გოგიანაშვილი, მარჯვნივ — ა. ერქომაიშვილი.

ფოტო ბ. სპაპროშინა

შეტევაზე მიხეილ მესხი.









ხურცილავამ ბურთი გაიტანა.

ხმებიან შეკარე სკოლეტი, დამცველები ზიკოვი და შტაპოვი, ნახევარდამცველი დუდკო, თავდასხმელები ვოტოლოვსკი, ავრუცკი, ევრაიუხინი.

თუ ვიმსჯელებთ შედეგების მიხედვით, უნდა აღვნიშნოთ, რომ წლევედელ სეზონში თბილისელებმა რამდენიმე საფეხურით წაიწიეს წინ და კვალკალ მიჰყვნენ ჩვენი ქვეყნის ვიცე-ჩემპიონს — მოსკოვის დინამოელებს. ეს წარმატება განაპირობა, პირველ რიგში, ახალგაზრდა ფორვარდების — გივი ნოდიას და გოჩა გავაშელის თამაშმა. გივიმ საერთოდ, წელს ძლიერ ისახელა თავი. ის ისე წარმატებით გამოვიდა საბჭოთა კავშირის ნაკრებშიც და ჩემპიონატშიც, რომ მხარში ამოუდგა ყველაზე მარჯვე ბომბარდირებს. ტექნიკურად ზუსტი, დაუცხრომელი, ის მუდამ მზად არის გადამწყვეტი დარტყმისათვის; ისეთ შესანიშნავ გარემარბებთან, როგორც არიან შესხი და მეტრეველი, ნოდია პირდაპირ მისწრება თბილისის დინამოელებისათვის. ასევე წარმატებით გამოვიდა დინამოელების მეორე ცენტრალური თავდასხმელი — გოჩა გავაშელი. გოჩა გავაშელს, სულ ახლახანს გამოსულს ძირითად შემადგენლობაში, გატანილი აქვს შვიდი ბურთი. ეს მეტისშეტად კარგი დასაწყისია.

მაღალ შეფასებას იმსახურებენ გუნდის სხვა მოთამაშეებიც, როგორც ახალგაზრდები, ისე ვეტერანებიც. ვფიქრობ, აქ აღარ არის საჭირო ჩამოვთვალოთ და ცალ-ცალკე დავახსიანოთ ყველა ისინი. აღვნიშნავ მხოლოდ მურთაზ ხურცილავას, რომელმაც თანაბარი სიძლიერით ითამაშა მთელი სეზონის მანძილზე, როგორც საბჭოთა კავშირის ნაკრებში, ისე თავის კლბოში.

და გურამ ცხოვრებოვს, რომელიც პირველად გამოვიდა ნაკრების შემადგენლობაში და წარმატებითაც ითამაშა.

თბილისის გუნდი მუდამ პრინციპულად გამოირჩეოდა მოსკოვის, ლენინგრადის, მინსკის გუნდებისაგან; გამოირჩეოდა თამაშის სტილით, მისთვის ჩვეული სისწრაფით და ტემპერამენტით. ეს შემტევი სტილის გუნდია. მაგრამ წლევედელ სეზონში ამ გუნდის თამაშში შესაჩინვე იყო დაცვითი ხაზის გაძლიერება ხუთ მოთამაშემდე და შეტევითი ხაზის შესუსტება სამ მოთამაშემდე. ამან კი ერთგვარად შეცვალა ფიზიონომია მთელი კოლექტივისა. მე დარწმუნებული ვარ, რომ თბილისის დინამოს შემდგომი წარმატებები უნდა მოიტანოს არა დაცვის, არამედ შეტევის პრობლემის გადაჭრამ. ამას გვკარნახობს თვით ბუნება ქართული ფეხბურთისა. ათასობით ფეხბურთელი თამაშობს ამჟამად საბავშვო, სტუდენტო, სასოფლო, საქარხნო, სარაიონო გუნდებში: ისინი არ უნდა მიეჩვივნენ თამაშს იმ სქემის მიხედვით, რომელიც ქართული ფეხბურთისათვის შეუფერებელ თარგზეა გამოჭრილი. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველო დაპყრობავს ესოდენ საჭირო ფორვარდებს. ეს კი ძლიერ საწყენი იქნება. ვზრდით, რა ახალგაზრდა ფეხბურთელებს, მათ მაგალითად უნდა დავუსახოთ პაიჭაძის, ლოდობერიძის, ჭეჭელაძის, მესხის, მეტრეველის ბარქაის თამაში.

მინსკის დინამოზე პირველ რიგში ის გვინდა აღვნიშნოთ, რომ მან კარგად აითვისა ინტენსიური ფეხბურთი და ჰყავს შეტევის მეტად თვალსაჩინო ოსტატები — ალამოვი, მალოფევი, მუსტიგინი. სწორედ მათი საუკეთესო თამაში გაწაზღვრავს მთელი გუნდის ტაქტიკას; დანარჩენი გუნდებიდან სეზონის ბოლოს ბრძოლა გამწვავდა „შახტიორსა“ და „სპარტაკს“ შორის. მეშახტეებმა წლევედელ სეზონში საგრძნობლად გააუმჯობესეს თავიანთი თამაში შეტევითი ტაქტიკის გაძლიერების თვალსაზრისით. ამას ხელი შეუწყო პირველ ხაზზე ლობანოვსკისა და ბაზილევჩის გამოჩენამ. ხოლო „სპარტაკი“ ჯერ ისევე შემადგენლობისა და ტაქტიკური ვარიანტის ძიების სტადიაშია. შუა სეზონში ნ. სიმონიანის დანიშვნა, ხელმძღვანელად, მის მიერ გადაჭრით კურსის აღება გუნდის განახლებისაკენ იძლევა საფუძველს ვფიქრობ, რომ მომავალ წელს „სპარტაკი“ აღიდგენს თავის ადრინდელ რეპუტაციას.

იმ გუნდთა შორის, რომლებიც პირველ ათეულში ვერ მოხვდნენ, ყურადღებას იქცევს ქუთაისის „ტორპედო“ — ესაა ორიგინალური გუნდი, მეტად ტემპერამენტული და, მე მგონია, მას აქვს ყველა შესაძლებლობა უფრო მაღალ საფეხურზე იდგეს სატურნირო ცხრილში.

მთელ რიგ მატჩებში, როგორც საკუთარ, ისე უცხო მოედნებზე, ქუთაისელებმა გაახარეს მყურებელი კარგი თამაშით, რომელიც უპასუხებს თანამედროვე ფეხბურთის ყველა ნორმას. მე მგონია მწვრთნელმა ა. ნორაკიძემ შესძლო ერთ მთლიანობაში შერწყმა როგორც ვეტერანების გამოცდილებისა (ხაულაია, ლოსაბერიძე), ისე ახალგაზრდების ნიჭისა და მისწრაფებისა.

ასეთია წლევედელი სეზონის საერთო ხასიათი. იგი, რა თქმა უნდა, კვალს დააჩენს მომავალ სეზონსაც.

1968 წელს ეწყობა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს საბჭოთა კავშირის ნაკრები. შესაძლებელია ამ სრულიად ევროპულმა ფორუმმა მოუტანოს რაიმე ახალი ჩვენს ფეხბურთსაც.

ვნახოთ. ლოდინი დიდხანს არ დაგვიკრძალებს.

გარეკანის პირველ გვერდზე — თბილისი, სასტუმრო „ივერია“.  
მეოთხე გვერდზე — მთაწმინდა. ფოტოები ოთარ თურქიანისი.

რედაქტორი გ. ნატროშვილი. სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. სააკაშვილი, პ/მგ, მდივანი თ. გოგოლაძე. ი. ტაბალუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.


სამ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია, ტექნოლოგიური დ. ხეფიაშვილი. კორექტორი ნ. ქუთათელაძე. რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III ხართ. ტელ.—რედაქტორის 9-54-66, პ/მგ, მდივანის—9-82-69, განყოფილებების—3-28-42, 9-01-39

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ. ხელმოწერილია დასახელებად 13/XII-67 წ. გამოცე. № 290 კალ. ზომა 70x108<sup>1</sup>/<sub>2</sub>, 1,5 კალ. ფურც. ნახევდი ფურც. 4,11. საავტორო ფორმათა რაოდ. 4,79 პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 35.700. შეკვ. № 4480 უე 02362

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии.

საქ. კვ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. №14.

— შენც მეკვლე ხარ?  
 — ჰო! სპორტსაზოგადოებებს  
 ვემსახურები!..



— როგორც ხედავთ, ბავშვე-  
 ბო, დედამიწის მცხოვრებლებს  
 ტანის ცილინდრული ფორმა და  
 სამ-სამი ფეხი აქვთ!..

# მეკვლე



— რომელი ხარ?  
 — კარი გამიღეთ. მეკვლე ვარ.  
 — რით ღამტკიცებ, რომ მე-  
 კვლე ხარ?!



— ეს მეკვლე ძალიან დიდ-  
 ხანს ულოცავს ჩემს ცოლს ახა-  
 ლი წლის მოსვლას!

ნახატები  
 ვახტანგ  
 კუციასი.

ИНДЕКС 76056

0 8911

